პროლეტარიელო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

KOMUNISTI

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ შრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 31-ე წელი

 კვირა, 20 აგვისტო, 1950 წ. № 183 (8743). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთშია:

გამსხვილებულ კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცება უმნიშვნელოვანესი ამოცანაა — მოწონავე (1-ლი გვერდი).

მუშათა და კოლმეურნეთა შრომითი წარმატებანი განამტკიცებენ მშვიდობის საქმეს მთელ მსოფლიოში (1-ლი გვერდი).

მეტი ხელმძღვანელობა და დახმარება გავუწიოთ კომკავშირის ორგანიზაციას (მე-2 გვერდი).

ზ. ფალიაშვილის სახელობის თეატრის გასტროლები სოჩაში (მე-2 გვერდი).

ამბროლაურელი მშრომელები ანაღდებენ ნაკისრ ვალდებულებებს (მე-3 გვერდი).

ი. სანდენიკოვი — ინდოელი ჟურნალისტი საბჭოთა კავშირის შესახებ (მე-3 გვერდი).

ფელეტონი — ტრუმენი „ხარის“ კომუნიზმს (მე-4 გვერდი).

მშვიდობის მომხრეთა „მსოფლიო კონგრესის მუდმივი კომიტეტის ბიუროს განცხადება უშიშროების საბჭოსა და ყველა მთავრობისადმი (მე-4 გვერდი).

კოორეის ამბები (მე-4 გვერდი).

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის დეკანეული ი. ა. მალიკინა და ტრიუგვე ლისადმი (მე-4 გვერდი).

გამსხვილებულ კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცება უმნიშვნელოვანესი ამოცანაა

მსხვილი სოციალისტური სოფლის მეურნეობა უდიდეს გასაქანს იძლევა მოწინავე სამეცნიო აგრონომიული მეცნიერების მიღწევებისა და მძლავრი თანამედროვე იდეუსტრიული ტექნიკის სრულად გამოყენებისათვის, კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის უმაგალითო განვითარებისათვის. დიდი სტალინი გვასწავლის:

„კოლექტივიზაციის შეთოდი უაღრესად პროგრესული მეთოდი აღმოჩნდა არა მარტო იმიტომ, რომ იგი არ მოითხოვდა გლეხების გადატაკებას, არამედ განსაკუთრებით იმიტომაც, რომ მან მესაძლებლობა მოგვცა რამდენიმე წლის განმავლობაში მთელი ჩვენი ქვეყანა მოგვეფინა მსხვილი კოლექტიური მეურნეობებით, რომელთაც საშუალება აქვთ გამოიყენონ ახალი ტექნიკა, გამოიყენონ ყველა აგრონომიული მიღწევანი და მისცენ ჩვენს ქვეყანას მეტი სასაქონლო პროდუქციი“.

1949-1950 წლები ჩვენი ქვეყნის კოლმეურნეობებში აღინიშნა ახალი დიდი მოვლენით. მოსკოვის ოლქის კოლმეურნეობებმა შესანიშნავი თაოსნობა გამოიჩინეს. კოლმეურნეთა სურვილით მრავალი წელია კოლმეურნეობა გაერთიანდა მსხვილ სასოფლო-სამეურნეო არტელად, რამაც საუკეთესო შედეგები გამოიღო. მიმდინარე წელს ჩვენი ქვეყნის მრავალ რაიონში დიდი მუშაობა გაჩაღდა წვრილ კოლმეურნეობათა გამსხვილებისთვის. მსხვილ კოლმეურნეობათა ორგანიზაცია სოციალისტური სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებაა.

წვრილ კოლმეურნეობათა გამსხვილებისათვის მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს ჩვენი რესპუბლიკის პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა. 1 ივლისისათვის გაერთიანებულ შედეგად საქართველოში არის 3.151 კოლმეურნეობა ნაცვლად 3.914-ისა. კოლმეურნეობათა გამსხვილება კვლავ გრძელდება. გამსხვილებული კოლმეურნეობანი წარმატებით იყენებენ მძლავრ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას, აგრონომიული მეცნიერების უახლეს მიღწევებს, უხვი მოსავლის ოსტატთა მდიდარ გამოცდილებას, მკვეთრად ამაღლებენ მიწათმოქმედების კულტურას და ფირთო მასშტაბით ეწევიან საკოლმეურნეო ნაგებობათა მშენებლობას. კოლმეურნეობათა გაერთიანებისას მნიშვნელოვანი რაოდენობით განთავისუფლდნენ ადამიანები, რომელსაც იყენებენ საწარმოო ბრიგადებსა და მეცხოველეობის ფერმებში. სტალინირის რაიონის სოფელ ნოთაგეროოვის კოლმეურნეობას კოლმეურნეთა ნებასურვილით შეუერთდნენ სოფელ გალავანთკაუს, ხოდისა და ქვასანთის წვრილი კოლმეურნეობები. კოლმეურნეობა კარგად ასრულებს მიმდინარე სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებს და მძლავრ მეურნეობად იქცა, 30 კაცით შემცირდა აღძინისტრაციათა-სამმართველო და მომსახურე პერსონალი, რაც წლიურად 10.400 შრომადღის. ეკონომიას იძლევა. ჩოხატაურის რაიონის სოფელ ვაზიანის კოლმეურნეობა „წითელი ვარსკვლავი“, ინტაბუეთის კოლმეურნეობა „წითელი ხაფი“ და ნაისუბნის დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობები წინათ ვერ ასრულებდნენ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის დაწესებულ გეგმებს და სისტემატურად ჩამორჩებოდნენ. შემდეგ სამივე კოლმეურნეობა გაერთიანდა ერთ კოლმეურნეობად, რომელსაც ჩაისუბნის დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობა ეწოდა. გამსხვილების შემდეგ კოლმეურნეობა მოწონავეთა რიგებში ჩადგა. წელს მისი ფულადი შემოსავალი ორ მილიონ მანეთს მიაღწევს და შრომადღეზე მარტო ფულად 20 მანეთს გაიკეთებ. წლის განმავლობაში 3.000 შრომადღით შემცირდა მომსახურე პერსონალის ხარჯები. მსგავსი მაგალითი ბევრია.

კოლმეურნეობათა გამსხვილება სეზონიული საქმეა და ეს საქმეთა გიგანტურად უნდა მოიწყოს. წვრილ კოლმეურნეობათა გაერთიანება უნდა მოხდეს ნებაყოფლობის ნიადაგზე. აქ არ შეიძლება თუნდაც მცირეი იძულებლივრობა დაშვება. საერთო კრებას, რომელიც კოლმეურნეობათა გაერთიანების საკითხს წყვეტს, უნდა დაესწროს არტელის წევრთა საერთო რიცხვის არანაკლებ ორი მესამედისა. პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების საქმეა განუმარტონ კოლმეურნეებს კოლმეურნეობათა გამსხვილების უდიდესი სარგებლობა საზოგადოებრივი მეურნეობის ყოველმხრივი განვითარებისათვის.

წვრილ კოლმეურნეობათა ორგანიზაციული გაერთიანებით საქმე ახლოლად იწყება. საჭიროა ეხერეფილი მუშაობა გავაჩაღოთ გამსხვილებულ კოლმეურნეობათა შემდგომი ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცებისათვის. ჩვენმა პარტიულმა ორგანიზაციებმა მკვეთრად უნდა აამაღლონ გამსხვილებული კოლმეურნეობებისადმი ხელმძღვანელობის დონე. გვახსოვდეს, რომ მსხვილი კოლეკტიური მეურნეობანი უფრო კვალიფიციური, ყოველდღიურ პოლიტიკურ და ორგანიზაციულ ხელმძღვანელობას საჭიროებენ.

ოფნარსეს ყოველსა ეუცილებელია გამსხვილებული კოლმეურნეობანი უზრუნველყოთ საუკეთესო ხელმძღვანელი კადრებით. მსხვილი მეურნეობის გაძლიერა იოლი საქმე რადა. ყოველ კოლმეურნეობაში საქმის წარმატება ბევრად არის დამოკიდებული თავმჯდომარეზე, გამგეობაზე, ბრიგადირებზე. დიდი სტალინი გვასწავლის:

„კოლმეურნეობებს, როგორც მეურნეობის ორგანიზაციის სოციალისტურ ფორმას, შეუძლიათ გვიჩვენონ საშეურნეო მზნეებლობის სასწაულები, თუ მათს სათავეში დგანან ნამდვილი რეკოლეციონერები, ბოლშევიკები, კომუნისტები“.

პარტიელი და საბჭოთა ორგანიზაციები უნდა დიეხმარონ გაერთიანებულ კოლმეურნეობათა წევრებს ხელმძღვანელ თანამდებობებზე განსაკუთრებით თავმჯდომარეებად, შერჩიონ და წამოაყენონ სოფლის მეურნეობის სპეციალისტები და უფრო ავტორიტეტული, მოამზადებული, შემოქმედები ადამიანები, რომელთაც შესწევთ უნარი უხელმძღვანელონ მსხვილ სოციალისტურ მეურნეობას.

გაერთიანებულ კოლმეურნეობებში განსაკუთრებით პირველ ხანებში დიდ ყურადღებას მოითხოვს შრომის სწორი მოწყობისა და აღრიცხვის საქმე. თვითეულ კოლმეურნეობას უნდა ჰქონდეს ახალი საწარმოო გეგმა, შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვა. კოლმეურნეთა საერო კრებებზე დამტკიცებული გამოძუშავების ნორმები და სასოფლო-სამეურნეო საშუშათა შეფასებანი შრომადღეებში. ამასთანავე საჭიროა სერიოზული ყურადღება მიექცეს მუდმივი საწარმოო ბრიგადების — როგორც შრომის ორგანიზაციის ძირითადი ფორმის — ყოველმხრივ განმტკიცებას, შრომის დისციპლინის ამაღლებას, კოლეკეურნეთა აღზრდას სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდების — საკოლმეურნეო ცხოვრების ამ უმაღლესი კანონის ზუსტად დაცვის სულისკვეთებით.

დიდი ამოცანებია დასახული მიწათმოამწყობთა წინაშე. ათას უნარიან შუშაობაზე დამოკიდებულია გამსხვილებულ კოლეკეურნეობებში მიწათსარგებლობის საკითხის სათანადო დონეზე დაყენება, შიდასაკოლეურნეო მიწათმოიწყობის საკითხების მოგვარება.

კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცებისათვის ბრძოლაში თვალსაჩინო როლი ეკუთვნით მანქანა-ტრაქტორთა სადგურებს. ჭეშეების მოშაკები მოვალეები არიან ქმედითი დახმარება გაუწიონ გამსხვილებულ კოლეკეურნეობებს სასოფლო-სამეურნეო საშუშათა მექანიზაციის დონის ამაღლებაში და მაქსიმალურად გამოიყენონ ის უპირატესობა, რასაც მსხვილი მეურნეობა იძლევა მიწათმოქმედებასა და მეცხოველეობის საქმეში მექანიზაციის ფართოდ დანერგვისათვის.

გაერთიანებულ კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცება ახალი დიდი ნაბიჯია სოფლის მეურნეობის შემდგომი აყვავების, ეალაქსა და სოფელს შორის დაპირისპირების მოსპობის გზაზე. სოფლის კომუნისტებმა და კომკავშირლებმა მთელი ყურადღება უნდა მიაპყრონ ამ ამოცანის წარმატებით გადაჭრას.

მსხვილი რაიონის კოლმეურნეობებმა შეასრულეს სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ჩაბარების გეგმა

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელზე გამოგზავნილი დეპეშით საქართველოს კ. პ. (ბ) მეცხოთნ რაიკომის მდივანი ამხ. ხუჯაძე და მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ჯავახიშვილი იტყობინებიან, რომ რაიონის კოლმეურნეობებმა 15 აგვისტოსათვის 101,6 პროცენტით შეასრულეს მარცვლეულის ჩაბარების სახელმწიფო გეგმა სიმინდისა და მინდის ჩაუთვლელად.

მარცვლეულის ჩაბარება გრძელდება.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ ენიმელწყალრა რაიონის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობის მოწინავეებისათვის სოციალისტური შრომის გმირის ოქროს მედლის მინიჭების შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს 1949 წლის 20 აპრილის ბრძანებულების შესაბამისად 1949 წელს **მეცხენეობაში მაღალი მოსავლიანობის მიღწევისათვის,** როგორ კოლმეურნეობამ ეროსრულა სახელმწიფოსთვის საკალდებელი ჩაბარება, კონტრაქტაცია, ნატურასაზღაური მტს-ის მუშაობისათვის და თვითეული სახის პროდუქტიელი პირუტყვისა და ფრინველის სულადობის მატების გეგმა, მიენიჭოთ **სოციალისტური შრომის გმირის** წოდება და გადაეცეთ **ლენინის** ორდენი და ოქროს მედალი **„ნამგალი და უროო“:**

1. **ქაჯაგოძეს** მოსე ალექსის-ძეს—კოლმეურნეობის მეფორეს, რომელმაც წლის განმავლობაში 10 დეკადოორზე ასხლეტამდე გაზარდა საშუალოდ თვითეულზე 25 გოჭი ორი თვის ასაკში საშუალოდ 15,1 კილოგრამი ცოცხალი წონისა.

2. **ლუკენჩუკს** ხრისტია პეტრეს ასულს—კოლმეურნეობის მეფორეს, რომელმაც წლის განმავლობაში 10 დეკადოორზე ასხლეტამდე გაზარდა საშუალოდ თვითეულზე 25 გოჭი ორი თვის ასაკში საშუალოდ 15,1 კილოგრამი ცოცხალი წონისა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. შვერნიკი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1950 წლის 17 აგვისტო.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ ბოლნისის ტალინის რაიონის სახელობის კოლმეურნეობის უფროსი მეუჯინიების დ. დ. ჩიკვინელაძისათვის სოციალისტური შრომის გმირის ოქროს მედლის მინიჭების შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1949 წლის 20 ოქტომბრის ბრძანებულების შესაბამისად 1949 წელს **მეცხენეობაში მაღალი მოსავლიანობის მიღწევისათვის,** როგორ კოლმეურნეობამ ეროსრულა სახელმწიფოსთვის მეკვლეობისა და მეცხოველეობის პროდუქციის ჩაბარების გეგმები, კონტრაქტაცია და ნატურასაზღაური მტს-ის მუშაობისათვის, ცხენისა და პროდუქტიული პირუტყვის გამოსაკვლი სულადობის, მათი კარგად შენახვის გეგმა, უხეში, წვენიანი და კონცენტრირებული საკვების დაგროვების გეგმა, როგორ კოლმეურნეობა სავსებით უზრუნველყოფილია მარცვლეულით კულტურების, ერთწლიანი, მრავალწლიანი ბალახებისა და ძირხვეულების თესლით, მიენიჭოს **სოციალისტური შრომის გმირის** წოდება და გადაეცეს **ლენინის** ორდენი და ოქროს მედალი **„ნამგალი და უროო“** ბოლნისის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის უფროსს მეჯინიბეს დავით დიმიტრის-ძე **ჩიკვინელაძეს,** რომელმაც თავლაში შენახულის, გაზარდა წლის დამდეგს არსებულ 25 ფაშატაზე 25 კვიცი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. შვერნიკი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1950 წლის 17 აგვისტო.

მუშათა და კოლმეურნეთა შრომითი წარმატებანი განამტკიცებენ მშვიდობის საქმეს მთელ მსოფლიოში

★ ★ ★ ★ ★

პირველხარისხოვანი პროდუქციისათვის მებრძოლნი

მშვიდობის სტახანოვურ ვახტზე დგას და თვალსაჩინო წარმატებას აღწევს თბილისის მაუდ-კამოლის ფაბრიკის კოლექტივი. იელისის დავალებას ფაბრიკამ 21 პროცენტით გადაჭარბა და გეგმის გადამტებით მოგვცა ათასი მეტრი ქსოვილი გამოუშვა, 3 პროცენტით გაადიდა პირველხარისხოვანი პროდუქციის გამოშვება და დაიცვა ასორტიმენტი.

საქსოვმა საამქრომ ივლისში გეგმის გადამეტებით 23.000 მეტრი ხამი ქსოვილი მოგვაწოდა. აგვისტოში მქსოველები უფრო მეტ წარმატებას აღწევენ, გამომუშავების დღიურ ნორმებს 25 პროცენტით აჭარბებენ.

საუკეთესო ხარისხის პროდუქციის გამომშვებლნა კამკოლურმა საამქრომ ივლისის გეგმა 113,4 პროცენტით შეასრულა, გასწია 11 ტონა ფთილი ეკონომია და პირველხარისხოვანი კამკოლური ნართის გამოშვება 99,3 პროცენტამდე აიყვანა. მოპოვებული წარმატებებით საამქრომ საფაბრიკო გარდამავალი წოდეა ლოზა შეინარჩუნა.

მაუდის საამქროში ლ. კრასნოვას ბრიგადა გამომუშავების ნორმებს ყოველდღე 15 პროცენტით აჭარბებს. ბრიგადა მთლიანად პირველი ხარისხის პროდუქციას უშვებს. ასევე წარმატებით მუშაობს მქსოველთა ნ. კრიჭაშვილის ბრიგადა, რომელმაც მანქანა-დანადგარების ნაყოფიერება 6 პროცენტით აამაღლა. საუკეთესო ხარისხის პროდუქციას უშვებენ მრთველები ვ. ჯოხაძე, მ. იესებელი, ნ. ზარქუა, მქსოველი ე. ფხაკაძე, მგრეხაი მ. მორტიკოვა და სხვები.

მაღარელები მშვიდობის სგახანოვურ ვახტზე

ბრიათური. (საკ. კორ.). ბრიგადა საშობოლოს მეტი და მაღალხარისხოვანი მარგანეცი, განვამტკიცოთ ჩვენი საშობოლოს ძლიერება, დავიცვათ მშვიდობა მთელ მსოფლიოში — ასეთი ლოზუნგით მუშაობენ ქიათურელი მაღაროელები. ახლა თითქმის ყველა მაღაოოს კოლექტივი გადაჭარბებთ ასორულებს დავალებას. აგვისტოს პირველი ხახეკის გეგმებს საგრნობლად გადაჭარბეს დიმიტროვის, კაგანოვიჩის, სტალინის, ორჯონიკიძისა და ბერიას სახელობის მაღაროებმა.

კაგანოვიჩის სახელობის მაღაოოსნი სტახანოვურ ვახტზე დგას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ორგზის ორდენოსანი პ. ბოყოველი, რომელმაც ორ კვირაში შეასრულა აგვისტოს გეგმა. ამხ. პ. ბოყოველს მბარის უსწორებს მისი შვილი გრიგოლი, ისიც სტახანოვურ ვახტზე დგას და დავალებას ორმაგად ანადგენს.

სტახანოვურ ვახტზე დგანან და გეგმებს ორ-სამმაგად ასრულებენ სამგზის ორდენოსანი სტახანოველები ქ. ლაკუთაძე და პ. მირიტაძე, ორგზის ორდენოსნები ს. ოთინაშვილი და ს. გაბრიელიძე, აგრეთვე ა. იაკობიძე, ა. ნადირაძე, პ. გოგაბაშვილი, ა. ჭილაძე, ბ. ნომასურიძე, ა. გფურნიდაშვილი, პ. ყიფშიძე, ი. შუბითიძე, მ. აბრამიშვილი, მ. გაფრინდაშვილი და ათობით სხვა სტახანოველი.

ზოგავენ ნედლეულს. უშვებენ ზეგეგმიოს პროდუქციას

ქუთაისი. (საკ. კორ.). ქალაქის ფაბრიკა-ქარხნებში მძლავრი საწარმოო ალმავლობაა. ათასობით მშრომელი დგას მშვიდობის სტახანოვურ ვახტზე და მაღალწაყოფიერი შრომით განამტკიცებს სოციალისტური სამშობლოს ძლიერებას.

აბრეშუმკომბინატის საქსოვი საამქრო ყოველდღიურად აღიდგენს პროდუქციის გამოშვებას. ივლისის გეგმა მქსოველებმა გადაჭარბებით შეასრულეს და დამატებით მისცეს ქვეყანას ათასობით მეტრი ძვირფასი ქსოვილი.

აგვისტოში კიდევ უფრო მაღალი მაჩვენებლებია მოპოვებული. მაგალითად, 10 აგვისტოს საამქროს ნაცვლად 13.500 მეტრისა, გამოუშვა 14.200 მეტრი ქსოვილი და დავალება 105 პროცენტით შეასრულა.

მქსოველის ვახტზე მდგომი ასობით მქსოველი ამ დღეებში დამაბეული ეხერგიით იბრძვის ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად. ახალგაზრდა სტახანოველები ქ. კაპანაძე, ც. კახაძე, ა. ბუტკაძე, ე. გეწაძე და სხვები რამდენიმე დაზგაზე მუშაობას დაიუფლნენ და დავალებას 150-160 პროცენტით ანადგენენ.

საკონსერვო ქარხნის კოლექტივმა წარმატებით დაიწყო სეზონი და მაღალნაყოფიერად დაამთავრა მეორე კვარტალი. განსაკუთრებით საყურადღებოა ივლისის მაჩვენებლები. ივლისში მეკონსერვეებმა 22,5 პროცენტით გადააჭარბეს დავალების შესრულებას. უმაღლესი ხარისხის კონსერვის გამოშვება გაიზარდა 70 პროცენტით, გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 364.100 ქილა კონსერვი, ამასთან დაცულია ასორტიმენტი, ყველა 12 სახის პროდუქცია გათვალისწინებულზე მეტი რაოდენობით არის გამოშვებული.

საუკეთესოდ მუშაობენ მაუდის ფაბრიკაშიც. აქ განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ კომპლექსური ეკონომიისათვის ბრძოლას. მარტო ივლისში ფეიერმამ 3.369 კილოგრამი ნართი დაზოგეს და დანაზოგი ნედლეულით გეგმის გადამეტებით დაამზადეს 162.500 მანეთის პროდუქცია. ფაბრიკამ ივლისის გეგმა 117,9 პროცენტით შეასრულა, ხოლო 7 თვისა 108,8 პროცენტით. ზეგეგმითი დაგრავება 368 ათას მანეთს უდრის, ხოლო საერთო დაგროვება — 1.133 ათას მანეთს.

ოქუმელ მეჩაიეთა შრომითი მამაცობა

ბალი. (საკ. კორ.). ოქემის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში წელს ჩაის პლანტაციებს საუკეთესოდ უვლიან. ამის შედეგად ჩაის ბუჩქების ზრდა ყველგან ნორმალურია და საკრეფი ფუფუნი მოდან უხვადაა.

ოქემელებში მეჩაიეებმა შეაჯამეს მშვიდობის სტახანოვური ვახტის შედეგები. კოლმეურნეობის ნაკისრი ვალდებულება წარმატებით აქვს შესრულებული, კრეფის წლიური გეგმა ვადამდეა განადღდებული, 105 ჰექტარზე ფართობის ყოველ ჰექტარზე მოკრეფილია 4.400 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაი.

მშვიდობის მომხრეთა საბჭოთა კომიტეტის ენობამ, სტოკოლმის მოწოდებაზე ხელმოწერის შედეგების შესახებ, მეჩაიეობის ბრიგადაში ახალი შრომითი ალმავლობა გამოწვეა.

კოლმეურნეები, რომლებიც განაგრძობენ მშვიდობის ვახტს, ყოველდღიურად გეგმის გადამეტებით კრეფენ ჩაის ფოთოოს. სოციალისტურ შრომის გმირის ქ. ბულისკერიას ბრიგადამ 50 ტონის ნაცვლად 58 ტონა ჩაი მოკრიფა, ლენინის ორდენოსან ნ. შამათავას ბრიგადამ გეგმის გადამეტებით —14 ტონა.

შესანიშნავი წარმატება აქვთ სოციალისტური შრომის გმირებს ეიტა და ლუბა ბულისკერიებს. თვითეულმა 0,5 ჰექტარ ფართობზე უკვე მოკრიფა 8,5-9 ტონა ჩაი. სამაგალითოა კოლმეურნე კაპიტონ შამათავას შრომითი საქმიანობა. მან წელს დაამთავრა სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი და ამასთან თავისი სოფლის კოლმეურნეობაში მოსავლელად ადებულ 0,5 ჰექტარ ფართობზე 7,6 ტონა ჩაის ფოთოლი მოკრიფა.

დიდების მეკვლეხეებისა და მეგზლეობის სახელოთა მეურნეობაში უკვე დაწყო პირველი მოსავლის აღება. სურათზე: ბოწონავე მეგზალე ს. გენეგაშვილი კრეფს ატაკს და მეკვლეხეობის მოწინავე მუშა გ. ყურაშვილი—ყურაძენს.

ფოტო ნ. ალოფფოისა

კენეტარზე 120 ფუთი ხორბალი

ხაშური. (საკ. კორ.). ზემო ოსიაურის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მერონ ბრიგადის ბრიგადირი სიმონ მთიულიშვილი ჩაბმული იყო ბრიგადირთა სოციალისტურ შეჯიბრებაში და ნაკისრი ჰექტარი ხორბლის უხვი მოსავლის მიღება.

ბრიგადირმა ამხ. მთიულიშვილმა ნაკისრი ვალდებულება წარმატებით გაანადგა. 12 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიიღო 120 ფუთი თეთრი ფოლის პური, ხოლო 28 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე — 90 ფუთი.

ანყოგენ ინდეკურის ფერმეგს

ხობი. (საკ. კორ.). წელს რაიონის ბეერ კოლმეურნეობაში ინდოურის მოშენებას ჯერეანი ყურადღება მიექცეს. ბეელი ხიბულის და ბიის ბერიას სახელობის კოლმეურნეობებში ასობი ფრთა ინდაური ჰყავდა.

მიმდინარე წლის ბოლოსათვის რაიონის კოლმეურნეობებში ინდაურის მოშენებამ 3 ათას ფრთას მიაღწევს, ხოლო 1951 წელს—5 ათასს.

პარტიული ცხოვრება

მეტი ხელმძღვანელობა და დახმარება გავუწიოთ კომკავშირის ორგანიზაციას

საბჭოთა ახალგაზრდობა თავის პოლიტიკურ და საწარმოო აქტივობას შესანიშნავად ათავსებს საკუთარი ცოდნის, კულტურული დონის ამაღლებისათვის ზრუნვასთან. ასეა ყველგან, ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეში, ყოველ საწარმოსა თუ კოლმეურნეობაში.

ჩვენ გვინდა მკითხველებს ვუამბოთ თბილისის ერთ-ერთი მოწინავე საწარმოს — ტრიკოტაჟკომბინატის ახალგაზრდობის ცხოვრებასა და შრომითს საქმეებზე.

კომბინატში 700-მდე ახალგაზრდა მუშაობს. ეს დიდი ძალა მთელ კოლექტივთან ერთად შრომობს საკუთარი საწარმოს ღირსების დასაცავად, შრომის ნაყოფიერების გასადიდებლად, პროდუქციის ხარისხის ამაღლებლად, საწარმოო გეგმების გადაჭარბებით შესასრულებლად.

კომბინატის კომკავშირული ორგანიზაცია (კომიტეტის მდივანი ე. ჩუბინიძე), რომელიც თავის რიგებში 406 ახალგაზრდას აერთიანებს, ბევრ საინტერესო ღონისძიებას ახორციელებს იმისათვის, რომ თვითეული ახალგაზრდა თავისი ამოცანის სრული შეგნებით მუშაობდეს, რომ მისი შრომა ხელს უწყობდეს საერთო წარმატებას.

კომკავშირული ორგანიზაციის პირველი რიგის ამოცანაა ახალგაზრდობაში მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის გაშლება. კომბინატის ახალგაზრდობაში 12 კომკავშირელი ეწევა სააგიტაციო მუშაობას. ისინი თავიანთ საპატიო მოვალეობას მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით ეკიდებიან. მათი საუბრის თემები მრავალფეროვანია, მოიცავს როგორც კონკრეტულ საწარმოო და საყოფაცხოვრებო საკითხებს, ისე ჩვენი ქვეყნის საშინაო და საერთაშორისო მდგომარეობის საკითხებს, თემებს, რომლებიც ეხება როგორც საბჭოთა კავშირის ახალგაზრდობის ცხოვრებას, ისე კაპიტალისტური ქვეყნების ახალგაზრდობის ცხოვრებისა და შრომის პირობებს. მოწინავე აგიტატორები ლ. კანკავა, ი. კიკილაშვილი, ნ. ბუიდოვა და სხვები უხვად იყენებენ მაგალითებს მხატვრული ლიტერატურიდან, რაც უფრო საინტერესოს და მიმზიდველს ხდის მათ საუბრებს. აღნიშნული აგიტატორები თავიანთი შრომითი საქმეებითაც სამაგალითონი არიან ახალგაზრდობისათვის. თვითეული მათგანი საწარმოო დავალებებს 150-180 პროცენტით ასრულებს.

კომბინატის კომკავშირის კომიტეტი ზრუნავს იმისათვის, რომ აგიტატორთა თეორიული დონე მაღალი იყოს, რომ მათ კარგად შეძლოთ საუბრების მოწყობა, ახალგაზრდობის დაინტერესება, მათი დარაზმვა საწარმოო გეგმების შესასრულებლად. სისტემატურად ეწყობა აგიტატორთა სემინარი, კვალიფიციური ლექციები და მოხსენებები.

300-ზე მეტი ახალგაზრდა მონაწილეობს თვითმოქმედების სხვადასხვა წრეებში. აქ შექმნილია მომღერალთა, მოცეკვავეთა, დრამატული წრეები, რომლებიც სისტემატურად მართავენ საღამო-კონცერტებს. კომკავშირული ორგანიზაცია ხშირად აწყობს ახალგაზრდობის კოლექტიურ დასწრებას ცნობილ საბჭოთა კინოფილმებზე. ნახული კინოსურათის შესახებ იმართება აზრთა გაცხოველებული გაცვლა. წელს ახალგაზრდებმა ბევრი საინტერესო კინოსურათი ნახეს. კერძოდ, მათ კოლექტიურად ინახულეს „ბერლინის დაცემა", „სტალინგრადის ბრძოლა", „ნათელი გზა". კომკავშირის კომიტეტს შედგენილი აქვს ზაფხულის პერიოდში ექსკურსიების მოწყობის სპეციალური გეგმა. ახალგაზრდებმა უკვე დაათვალიერეს მცხეთის რაიონის ისტორიული ადგილები, ნახეს ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი, ჯვარის მონასტერი და სხვ. ერთი დასვენების დღე მათ გაატარეს კოჯორში. ახალგაზრდებმა დაათვალიერეს აგრეთვე დიღმის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა, მოაწყეს ექსკურსია ქალაქში — ამხანაგ სტალინის მოღვაწეობასთან დაკავშირებულ ისტორიულ ადგილებში.

კომბინატში კომკავშირის ასაკის ბევრი ახალგაზრდა მუშაობს. კომკავშირის კომიტეტის უპირველესი ამოცანაა მათთან სისტემატური მუშაობა, თათბირების, საუბრების მოწყობა, მათი ჩაბმა მასობრივ ღონისძიებებში, მათი მოზიდვა კომკავშირის რიგებში. ამ მხრივ კომბინატის კომკავშირმა ზოგიერთი რამ გააკეთა. წელს კომკავშირის რიგებში 140 მოწინავე ახალგაზრდა იქნა მიღებული. მაგრამ გვინდა ზოგიერთ ნაკლზე ვილაპარაკოთ. უპირველეს ყოვლისა კომკავშირის რიგების ზრდა კამპანიურ ხასიათს ატარებს. გარდა ამისა, საკმაო მუშაობა არ წარმოებს ახალ მიღებულებთან. საჭიროა მათი ჩაბმა პრაქტიკულ მუშაობაში, ამასთან თვითეული მათგანის უნარისა და მისწრაფების კარგად გათვალისწინება, მათთან ყოველდღიური, დაუღალავი მუშაობა. ყოველ ახალგაზრდას კარგად უნდა შევაგნებინოთ ის პასუხისმგებლობა, რასაც მას კომკავშირში შესვლა აკისრებს.

დიდია ახალგაზრდობის ინტერესი ფიზკულტურისა და სპორტისადმი. კომბინატის კომკავშირული ორგანიზაცია ცდილობს დააკმაყოფილოს ეს ინტერესი. აქ მრავალგვარი ფიზკულტურული და სასპორტო წრეები მუშაობენ. ჩამოყალიბებულია ფეხბურთისა და ფრენბურთის გუნდები. ახალგაზრდები ინტერესით სწავლობენ სროლას, ცურვას, ჭადრაკს.

ახალგაზრდობის იდეური აღზრდა, მისი მარქსისტულ-ლენინური თეორიით შეიარაღება კომკავშირის უპირველესი ამოცანაა. გასულ წელს კომბინატში 9 წრესა და პოლიტსკოლაში 300-ზე მეტი ახალგაზრდა სწავლობდა. 30-ზე მეტი კომკავშირელი პარტიული განათლების ქსელში იყო ჩაბმული, ხოლო დანარჩენები დამოუკიდებლად მეცადინეობდნენ. დამოუკიდებლად მომუშავეებს ეხმარებოდნენ კონსულტანტები, აწყობდნენ მათთან თეორიულ გასაუბრებას, უკითხავდნენ ლექციებს, მოხსენებებს და სხვა. ყოველივე ამის შედეგად კომბინატის კომკავშირულმა ორგანიზაციამ გასული სასწავლო წელი კომკავშირული განათლების ქსელში მნიშვნელოვანი წარმატებით დაამთავრა. ზაფხულის პერიოდში ახალგაზრდებისათვის სისტემატურად ეწყობა კვალიფიციური ლექციები საერთაშორისო მდგომარეობაზე, კომკავშირის წესდების საკითხებზე, პირადი და საწარმოო ჰიგიენის დაცვის მნიშვნელობაზე და სხვ.

აქვე უნდა ითქვას, რომ ახალი სასწავლო წლისათვის მზადება ჯერ კიდევ სუსტად მიმდინარეობს. კომბინატის კომკავშირული ორგანიზაციის მოვალეობაა დარჩენილი დრო მაქსიმალურად გამოიყენოს და ყველა პირობა შექმნას სასწავლო წლის ორგანიზებულად დაწყებისათვის.

კომკავშირული ორგანიზაციის ბრძოლისუნარიანობის ამაღლებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს კომკავშირული კრებების მომზადებულად ჩატარებას, კომკავშირული მეურნეობის მოწესრიგებას, დავალებათა სწორად განაწილებას, დადგენილებათა შესრულების შემოწმებას და სხვა. კომბინატის კომკავშირი ამ მხრივ გარკვეულ მუშაობას ეწევა, მაგრამ მაინც ყველაფერი რიგზე არ არის. მართალია, ხშირად იწვევენ ღია კრებებს, იღებენ დადგენილებებს, მაგრამ სისტემატურად არ ამოწმებენ მიღებულ დადგენილებათა შესრულებას, რაც ახალგაზრდობაში კომკავშირული კრების ავტორიტეტს ამცირებს. ოქმებს დაგვიანებით აფორმებენ და ბევრი მათგანი გაუმართავია. კარგი მდგომარეობა ვერც საწევრო ანარიცხების აკრეფის საქმეშია. ზოგიერთ კომკავშირელს გადაუხდელი აქვს 2-3 თვის საწევრო ანარიცხი.

კომბინატის ახალგაზრდების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი, თუ არ მივიღებთ მხედველობაში უმნიშვნელო გამონაკლისს, შესანიშნავად მუშაობენ წარმოებაში. მათს საწარმოო აქტივობას კომკავშირი უდგას სათავეში. ივნისში ჩამორჩა კომბინატის სართავი ფაბრიკა — დავალება 97,4 პროცენტით შესრულა. კომბინატის კომკავშირის კომიტეტმა 13 ივლისს მოიწვია ფაბრიკის კომკავშირელთა ღია კრება. ნედლეულისა და დამხმარე მასალის ეკონომიისა და კომკავშირის ამოცანების შესახებ მოისმინეს ფაბრიკის გამგის ს. რევიას მოხსენება. კამათში გამოსული კომკავშირელები და ახალგაზრდები მსჯელობდნენ იმაზე, თუ რა შეუძლიათ გააკეთონ მდგომარეობის გამოსასწორებლად. გამოირკვა, რომ ფაბრიკაში იყო ნედლეულის გადახარჯვის, ნედლეულის არა თავის დროზე მიწოდების, დისციპლინის დარღვევის შემთხვევები. კრებამ მიიღო დადგენილება, რომლითაც ყველა ახალგაზრდას მოუწოდებდა მომჭირნეობით ეხარჯათ ნედლეული, არ დაეშვათ დისციპლინის დარღვევის შემთხვევები და სხვა. ახალგაზრდები დაირაზმნენ მიღებული დადგენილების განსახორციელებლად, უფრო მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდეს საქმეს ხელი, და შედეგად ის მივიღეთ, რომ ფაბრიკამ ივლისის გეგმა 110,1 პროცენტით შესრულა. განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ძაფისმხვევველმა კომკავშირელებმა მ. ლითონიძემ, ლ. გრიბაჩოვამ, რ. გეჯაძემ. ივლისის დავალება მათ 150-160 პროცენტით გაანაღდეს, კომკავშირგარეშე ახალგაზრდა ნ. ლურსმანაშვილმა კი ივლისის გეგმა 130 პროცენტით შესრულა.

კომბინატის ახალგაზრდობის საწარმოო აღმავლობას ისიც უწყობს ხელს, რომ აქ დიდ ყურადღებას აქცევენ საწარმოო კვალიფიკაციის ამაღლებას. ამ მიზნით ჩამოყალიბებულია ტექმინიმუმის შემსწავლელი წრეები, რომლებშიც 250 კაცია გაერთიანებული. ამდენივე ახალგაზრდამ უკვე აიმაღლა კვალიფიკაცია, ხოლო ნაწილი ინდივიდუალურად, მოწინავე მუშების დახმარებით იმაღლებს კვალიფიკაციას. მაგალითად, ძაფის მხვევველები, კომკავშირელები მ. ბარავკაია და ნ. ციციკაშვილი 10 ახალგაზრდას დაეხმარნენ კვალიფიკაციის ამაღლებაში. ასევე ეხმარება ახალგაზრდებს კვალიფიკაციის ამაღლებაში სტახანოველი მუშა ნ. ლაპინა.

კომბინატში შექმნილია 22 ახალგაზრდული ბრიგადა, რომლებიც ენერგიულად იბრძვიან საწარმოო გეგმების შესრულებისათვის. ყველას უსწრებს ნედლეულის დამამზადებელი ბრიგადა კომკავშირელ ი. თითირაშვილის ხელმძღვანელობით. კომკავშირელ ს. ლიახოვის ბრიგადაში 8 კომკავშირელი და კომკავშირგარეშე ახალგაზრდაა. ლიახოვის ბრიგადას სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტრომ საუკეთესო ხარისხის ბრიგადის წოდება მიანიჭა. კომკავშირელთა შორის მოწინავეა ზეინკალი ა. ბუხრაძე, რომელიც უკვე ერთი თვეა მშვიდობის ვახტზე დგას და ყოველდღიურ გეგმებს 360 პროცენტით ასრულებს. მოწინავეთა რიგებში არიან მრთველი მ. გიგილაშვილი, ახალგაზრდა მუშა მ. გრიბანოვა და სხვ.

ჩვენ აღვნიშნეთ კომბინატის კომკავშირის ორგანიზაციის ნაკლოვანი მხარეები. ამ ნაკლოვანებათა გამოსწორება არც ისე ძნელი იქნებოდა, კომკავშირის ორგანიზაციას თავის დროზე რომ დახმარებოდა პარტიული ორგანიზაცია. უნდა ითქვას, რომ კომკავშირისადმი პარტიული ხელმძღვანელობა ამ ბოლო დრომდე სუსტი იყო.

უკანასკნელ ხანს პარტბიურომ (მდივანი ე. ლელაშვილი) გააუმჯობესა კომკავშირისადმი ხელმძღვანელობა, მოაწყო თათბირები სასპორტო მუშაობის საკითხებზე, წიგნის ერთთვიურთან დაკავშირებით პარტბიუროს მდივანი ესაუბრა ცალკეულ კომკავშირელებს და სხვ.

პარტიულმა ორგანიზაციამ კომკავშირისადმი ხელმძღვანელობა და დახმარება გადაჭრით უნდა გააუმჯობესოს, მიიღოს ღონისძიებანი იმისათვის, რომ კომკავშირული მუშაობის ყველა რგოლში სანიმუშო მდგომარეობა გვქონდეს, რომ კომბინატის კომკავშირული ორგანიზაცია მეტი წარმატებით ასრულებდეს ძირითად ამოცანას — ზრდიდეს ახალგაზრდობას სამშობლოსადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით, რაზმავდეს მას ბოლშევიკური პარტიის, საბჭოთა მთავრობის, დიდი სტალინის მითითებათა განუხრელად შესასრულებლად.

მ. ვარდოსანიძე

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომის პლენუმი

შედგა საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომის პლენუმი, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხი.

პლენუმმა ამხ. ვ. ბარბაქაძე გაათავისუფლა რაიკომის პირველი მდივნის მოვალეობისაგან. რაიკომის პირველ მდივნად პლენუმმა აირჩია ამხ. მ. მალრაძე, მეორე მდივნად—ამხ. პ. გელაშვილი.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანმა ამხ. ე. ჩერქეზიამ.

კომკავშირელ პროპაგანდისტთა მომზადება

გორი. (საკ. კორ.) მუშაობა დაამთავრა კომკავშირის გორის რაიკომთან მოწყობილმა კომკავშირელ პროპაგანდისტთა მოსამზადებელმა თხუთმეტდღიანმა კურსებმა. კურსებზე მეცადინეობდნენ სსრ კავშირის საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილებისა და საკავშირო ალკკ წესდების შემსწავლელი წრეების პროპაგანდისტები. ლექციებს კითხულობდნენ პარტიის გორის რაიკომისა და კომკავშირის რაიკომის მუშაკები.

წარმოების ეკონომიკის შემსწავლელი სემინარი

ქუთაისი. (საკ. კორ.). აბრეშუმკომბინატში შეიქმნა წარმოების ეკონომიკის შემსწავლელი ექვსთვიანი სემინარი, რომელშიც გაერთიანებულია 40 კაცი — საამქროთა უფროსები, განყოფილებათა გამგეები, პარტორგანიზაციების მდივნები.

მსმენელებს ლექციებს უკითხავენ სოციალისტური მრეწველობის დაგეგმვის, მისი დარგობრივი სტრუქტურის, საბრუნავი ფონდებისა და მათი გამოყენების, პროდუქციის თვითღირებულების, შრომის ნაყოფიერებისა და ხელფასის საკითხების შესახებ.

სემინარის მეცადინეობა თვეში ორჯერაა. ლექტორებად უმთავრესად ადგილობრივი ძალებია გამოყენებული.

ბელადის სახლი ინახულა 113.000 კაცმა

უწყვეტ ნაკადად მოედინებიან ექსკურსანტთა დიდი ჯგუფები იმ სახლის სანახავად, რომელშიც დაიბადა და ბავშვობის წლები გაატარა დიდმა სტალინმა.

ბელადის დაბადების 70 წლისთავის აღსანიშნავად სახლ-მუზეუმი და იქვე გახსნილი ამხანაგ სტალინის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი მასალებისა და დოკუმენტების გამოფენა პირველ აგვისტომდე სულ 113.000 კაცმა დაათვალიერა.

შთაბეჭდილებათა წიგნის მრავალ ტომში ჩაწერილია სახლ-მუზეუმის მნახველთა შთაბეჭდილებები. აქვეა მრავალი საჩუქარი. უკანასკნელი რვა თვის მანძილზე სახლ-მუზეუმმა მრავალი საჩუქარი მიიღო.

მნახველთა ყურადღებას იპყრობს ჩეხოსლოვაკიის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის საჩუქარი—ბროლის თასი ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფო გერბით, რომელიც მოჩუქურთმებულია ძვირფასი მასალით. იქვეა ჩეხოსლოვაკიის სახალხო რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მუშაკთა დელეგაციის საჩუქარი—სოფლის მეურნეობის ემბლემებით მოჩუქურთმებული 70 სანტიმეტრი სიმაღლის ფაიფურის ძვირფასი ვაზა.

სახლ-მუზეუმში ინახება სახლის სანახავად მოსულ ექსკურსანტთა მიერ მოტანილი მრავალი ძვირფასი საჩუქარი.

სახლ-მუზეუმში ყოველდღიურად მრავალი სტუმარი მოდის. ვის არ შეხვდებით აქ: შორეულ ციმბირელს და მურმანსკელს, ლენინგრადელსა და უკრაინელს, ბელორუსსა და ლიტველს, ტაჯიკსა და სომეხს... აქ ნახავთ საზღვარგარეთიდან სტუმრად ჩამოსულთ. ყველა უდიდესი სიყვარულით ნახულობს იმ სახლს, სადაც დაიბადა პროგრესული კაცობრიობის დიდი ბელადი და მასწავლებელი ი. ბ. სტალინი.

შ. ჩუბინიძე
„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

შეჯიბრებაში გამარჯვებული საწარმოები

საკავშირო პროფსაბჭომ და სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტრომ შეაჯამეს კვების მრეწველობის საწარმოებში სოციალისტური შეჯიბრების მეორე კვარტალის შედეგები. მაღალი საწარმოო მაჩვენებლებისათვის პირველი ჯილდო და გარდამავალი წითელი დროშა კვლავ მიეკუთვნა თბილისის თამბაქოს პირველ ფაბრიკასა (დირექტორი პ. ხოფერია) და ბორჯომის შუშის ქარხანას (დირექტორი გ. ბაქრაძე).

ბორჯომის შუშის ქარხანამ საერთო პროდუქციის გამოშვების მეორე კვარტალის გეგმა 111,7 პროცენტით შესრულა, დაზოგა 787 ტონა სათბობი, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით სახელმწიფოს 522 ათასი მანეთი ზეგეგმითი ეკონომია მისცა, ამასთან გეგმის გადამეტებით 3 პროცენტით გაზარდა შრომის ნაყოფიერება.

თბილისის თამბაქოს პირველმა ფაბრიკამ გეგმის გადამეტებით გამოუშვა 91 მილიონი ცალი პაპიროსი, ნარჩენების შემცირებით დაზოგა 8 ტონა თამბაქო, წინა კვარტალთან შედარებით თვალსაჩინოდ გააუმჯობესა პროდუქციის ხარისხი, თვითღირებულების შემცირებით 610 ათასი მანეთი ზეგეგმითი ეკონომია მიიღო და 13 პროცენტით აამაღლა შრომის ნაყოფიერება.

საკავშირო შეჯიბრებაში მეორე ადგილი მოიპოვეს და მეორე პრემია მიეკუთვნათ თბილისის ჩაის საწონ ფაბრიკას (დირექტორი გ. კაკაბაძე) და ბორჯომის ჩამომსხმელ ქარხანას (დირექტორი მ. გოგიტიძე).

თბილისის ჩაის საწონმა ფაბრიკამ საერთო პროდუქციის გამოშვების მეორე კვარტალის გეგმა 118,8 პროცენტით შესრულა, 28 პროცენტით გაზარდა უმაღლესი ხარისხის ჩაის გამოშვება, დაზოგა 152 ათასი მანეთის ქაღალდი, წებო და სხვა დამხმარე მასალა, გეგმის გადამეტებით 1,7 პროცენტით შეამცირა პროდუქციის თვითღირებულება და მიიღო 610 ათასი მანეთი ეკონომია, შრომის ნაყოფიერება გაადიდა 10,6 პროცენტით.

ბორჯომის ჩამომსხმელმა ქარხანამ 8,4 პროცენტით გადააჭარბა მეორე კვარტალის გეგმას, დაზოგა სათბობის 20 პროცენტი, 8,8 პროცენტით აამაღლა შრომის ნაყოფიერება და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით სახელმწიფოს 260 ათასი მანეთი ეკონომია მისცა.

მესამე პრემია მიეკუთვნა სამტრესტის მოსკოვის ღვინის ქარხანას.

საკოლმეურნეო მშენებლობა

ხაშური. (საკ. კორ.). ტეზრის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობაში ჩქარი ტემპით მიმდინარეობს სამსართულიანი სახლის მშენებლობა, რომელშიც მოთავსდება კოლმეურნეობის კანტორა, ბიბლიოთეკა, საკოლმეურნეო კლუბი, ლაბორატორია და საწყობი.

მშენებლობაზე 300 ათასი მანეთი დაიხარჯება. სახლი მიმდინარე წლის ნოემბერში დამთავრდება.

ზ. ფალიაშვილის სახელობის თეატრის გასტროლები სოჩში

(საუბარი თეატრის დირექტორთან, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწე პ. კანდელაკთან)

ორი კვირაა სოჩში გასტროლებს მართავს თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი. აქ ჩამოვიდა თეატრის მთელი შემოქმედებითი კოლექტივი—335 კაცი.

გასტროლების დროს, რაც 24 სექტემბრამდე გასტანს, თეატრი უჩვენებს 12 საოპერო და 6 საბალეტო სპექტაკლს. გასტროლებისათვის გამოცემულია ცალკე ბროშურა ჩვენი თეატრის განვითარების ისტორიის მოკლე მიმოხილვით.

საგასტროლო დადგმები ხორციელდება სოჩის საზამთრო სახელმწიფო თეატრის სცენაზე. ამ თეატრში 1.000-ზე მეტი მაყურებელი ეტევა. თბილისის ოპერის თეატრის სპექტაკლები მაყურებელმა გულთბილად მიიღო. ყველა სპექტაკლზე დარბაზი სავსეა მაყურებლებით. ბილეთები ცალკე დადგმებზე იყიდება ორი-სამი დღით ადრე.

თეატრმა უკვე უჩვენა ზ. ფალიაშვილის ოპერები „დაისი" და „აბესალომ და ეთერი", ვ. დოლიძის კომიკური ოპერა „ქეთო და კოტე", რუსული კლასიკური საოპერო ხელოვნების თვალსაჩინო ნაწარმოებნი პ. ჩაიკოვსკის „პიკის ქალი" და „მაზეპა", ჯ. ვერდის ოპერები „ოტელო", „ტრავიატა" და „აიდა", აგრეთვე საბალეტო სპექტაკლები—დ. თორაძის „გორდა", ა. კრეინის „ლაურენსია", ა. ადამის „ჟიზელი", ყივჩაყთა ცეკვები ა. ბოროდინის ოპერიდან „თავადი იგორი".

ყველა ამ სპექტაკლში მონაწილეობდნენ თეატრის წამყვანი ძალები. დიდი წარმატება ხვდა საქართველოს სსრ სახალხო არტისტს ნ. ხარაძეს. მან შეასრულა მაროს პარტია ოპერა „დაისში" და ვიოლეტასი — „ტრავიატაში". წარმატებით მოეწყო მისი საკონცერტო გამოსვლები სსრ კავშირის სიმფონიურ ორკესტრთან ერთად.

მაყურებელმა დააფასა გულთბილობა და გულწრფელობა, რომლითაც გამსჭვალულია საქართველოს სსრ სახალხო არტისტის ე. გოსტენინას მიერ შესრულებული პარტიები მარიასი ოპერა „მაზეპაში" და ლიზასი „პიკის ქალში".

მაყურებელი გულთბილად იღებს საქართველოს სსრ სახალხო არტისტის ნ. ცომაიას, თეატრის სოლისტების ე. ხიჯაკაძის, ე. ეპიტაშვილის, გ. შმალცელის, ლ. გიორგაძის და სხვათა გამოსვლებს.

მკაფიო შესრულებით გამოირჩევა ნიჭიერი ვოკალისტი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი, სტალინური პრემიის ლაურეატი პ. ამირანაშვილი. საზოგადოება მხურვალედ შეხვდა მის გამოსვლებს ოპერებში „დაისი" (კიაზო), „აბესალომ და ეთერი" (მურმანი), „ოტელო" (იაგო), „ტრავიატა" (ჟერმონი).

მაყურებელმა მაღალი შეფასება მისცა საქართველოს სსრ სახალხო არტისტის, სტალინური პრემიის ლაურეატის დ. ანდღულაძის გამოსვლებს აბესალომის პარტიაში ოპერა „აბესალომ და ეთერში", გერმანისა — „პიკის ქალში".

დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს საქართველოს სსრ დამსახურებულმა არტისტებმა ნ. ბელაქნელმა ანდრიას პარტიაში და გ. გრიგორაშვილმა კოჩუბეის პარტიაში ოპერა „მაზეპაში".

მსმენელთა ყურადღება მიიქციეს დამსახურებულმა არტისტებმა მ. ყვარელაშვილმა, ა. ჩაკალიძემ, ვ. ხამაშურიძემ.

თეატრის საბალეტო დასმა, რომელსაც მეთაურობს საბჭოთა ბალეტის გამოჩენილი ოსტატი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი, სტალინური პრემიის ლაურეატი ვ. ჭაბუკიანი, ცხადყო მაღალი პროფესიული კულტურა.

განსაკუთრებული წარმატება ჰქონდა ახალგაზრდა კომპოზიტორ დ. თორაძის ბალეტ „გორდას". ბალეტის სიუჟეტმა, რომელიც მიძღვნილია პატრიოტული თემის — მშობლიური მიწა-წყლის მიმართ ქართველი ხალხის გმირული სიყვარულისადმი, ბალეტის ღრმა ეროვნულმა მუსიკამ და ნიჭიერმა შესრულებამ მაყურებლის მხურვალე მოწონება ჰპოვა.

უდიდესი წარმატება ჰქონდა სპექტაკლ „ლაურენსიას" ვ. ჭაბუკიანის დადგმით. ამ დადგმისათვის მას თავის დროზე სტალინური პრემია მიენიჭა. ამ სპექტაკლში მკაფიოდ იჩენს თავს ვ. ჭაბუკიანის ქორეოგრაფიული ნიჭი, რეჟისორული და აქტიორული ოსტატობა. დარბაზი დიდხანს და მხურვალედ მიესალმებოდა შესანიშნავ მსახიობს.

აღტაცება გამოიწვია სტალინური პრემიის ლაურეატების ვ. წიგნაძისა და ზ. კიკალეიშვილის, აგრეთვე მ. ბაუერისა და თ. ჭაბუკიანის ბრწყინვალე გამოსვლებმა. წარმატებით გამოვიდნენ საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტები გ. ბარხუდაროვი და ვ. ივაშკინი, ბალეტის სოლისტები ი. ალექსიძე, ს. წონიაშვილი, გ. პატარაია, ქ. ლოლაძე, ნ. ლორთქიფანიძე და სხვები.

სოჩში გასტროლების დროს ჩვენი თეატრის ცალკეულ სპექტაკლებში მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს სსრ სახალხო არტისტი, სსრ კავშირის დიდი აკადემიური თეატრის სოლისტი დ. გამრეკელი, რსფსრ და საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი ვ. დავიდოვა, საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი, დიდი თეატრის სოლისტი დ. მჭედლიძე.

მოეწყობა თეატრის წამყვან მსახიობთა შეხვედრა სოჩის ინტელიგენციასთან, ჯანმრთელობის ახალი კერების მშენებლებთან.

გასტროლები სოჩში ჩვენი თეატრის თავისებური შემოქმედებითი ანგარიშია ფართო საბჭოთა მაყურებლების წინაშე. ამავე დროს თეატრის შემოქმედებითი კოლექტივი ემზადება მომავალი ზამთრის სეზონისათვის. ჩვენ გვსურს თბილისელები გავახაროთ ახალი პრემიერებით. ამჟამად მიმდინარეობს ნაპრავნიკის ოპერა „დუბროვსკის" და შ. აზმაიფარაშვილის „ხევისბერი გოჩას" მუსიკალური და სცენიური მოსამზადებელი რეპეტიციები. თბილისის მშრომელები ნახავენ აგრეთვე ჩვენი თეატრის ახალ დადგმებს—თ. შავერზაშვილის ოპერა „იავნანას" და რ. გლიერის ბალეტ „წითელ ყაყაჩოს".

სერიოზული ყურადღება მივაქციეთ მაყურებელთან თეატრის ურთიერთობის განმტკიცების საკითხს. წარსული წლის მაგალითით საქართველოს დედაქალაქის საწარმოებში, მუშათა კლუბებსა და კულტურის სახლებში მოეწყობა გამსვლელი სპექტაკლები. ჩვენს შეფს — ბათუმის სტალინის სახელობის ნავთის გადამამუშავებელი ქარხნის კოლექტივს დახმარებას გავუწევთ მხატვრული თვითმოქმედების განვითარებაში.

ჩვენი თეატრის კოლექტივი, ისევე როგორც საბჭოთა ხელოვნების ყველა მუშაკი, ცხოვრობს მთელ ხალხთან საერთო ფიქრებითა და საერთო სურვილებით. საბჭოთა ადამიანების თავდადებული შრომა, მათი ბრძოლა მშვიდობისათვის აღგვაფრთოვანებს ახალი შემოქმედებითი წარმატებებისათვის.

სოჩი, 19 აგვისტო (საქდესის სპეც. კორ.).

თანამედროვე რუსული ლიტერატურული ენის ლექსიკონი

დასაბეჭდად გადაეცა მეორე ტომი თანამედროვე რუსული ლიტერატურული ენის ლექსიკონისა, რომელსაც სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა 15 ტომად უშვებს.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორმა აკადემიკოსმა ვ. ვ. ვინოგრადოვმა საქდესის კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა

— ამხანაგ ი. ბ. სტალინის გენიალურ ნაშრომებს ენათმეცნიერების საკითხებზე უდიდესი მნიშვნელობა აქვთ ლექსიკონების შედგენის თეორიისა და პრაქტიკისათვის. განსაკუთრებით ძვირფასია ი. ბ. სტალინის მოძღვრება ძირითად ლექსიკურ ფონდზე და მის თანაფარდობაზე ენის საერთო ლექსიკურ მარაგთან. ეს მოძღვრება წარმოადგენს ენის ლექსიკის (ლექსიკონის) ანალიზში მატერიალისტური დიალექტიკის მეთოდის გამოყენების მკაფიო ნიმუშს.

ლექსიკონების შემდგენლები ხშირად უშვებდნენ შეცდომებს, მთავარ ყურადღებას აქცევდნენ ენის ლექსიკური შემადგენლობის ცვლილებას, სიტყვების ახალ ელფერს, ამასთან ზოგჯერ მათ მიაკუთვნებდნენ მხატვრული ლიტერატურის ნაწარმოებებში სიტყვების შემთხვევით ხმარებას. ამიტომ ამხანაგ სტალინის მითითებას, რომ ლექსიკურ შედგენილობაში მთავარია ძირითადი ლექსიკური ფონდი, რომელიც უფრო მყარია, ძალიან დიდ ხანს, საუკუნეთა განმავლობაში ცოცხლობს (ახალი სიტყვების შექმნის ბაზას წარმოადგენს), უშუალო დამოკიდებულება აქვს ლექსიკონების შედგენის თეორიისა და პრაქტიკასთან.

თანამედროვე რუსული ლიტერატურული ენის ახალ ლექსიკონს საფუძვლად დაედო საერთოდსახმარებელი ლექსიკა, რომელიც წარმოდგენილია ყველაზე მნიშვნელოვანი ლიტერატურული და სამეცნიერო-პოპულარული წყაროებით. ლექსიკონი შეიცავს სიტყვების ფილოლოგიურ (არა ენციკლოპედიურ) განმარტებას, აღნიშნავს მყარ შეფარდებებს, სიტყვის ხმარებას, გამოთქმებს; ასურათებს მათ მნიშვნელობას, სიტყვების ელფერსა და ხმარების თავისებურებას; სიტყვას ახასიათებს გრამატიკულად, შეიცავს აუცილებელ საერთო მითითებებს სიტყვების წარმოთქმისა და დაწერის თავისებურობის შესახებ; იძლევა ნორმატიულ მითითებებს შეზღუდულად ხმარებული სიტყვების დროს. ლექსიკონის საცნობარო განყოფილებაში მოყვანილია ცნობები სიტყვის ისტორიისა და მის სიტყვაწარმომქმნელ განშტოებათა შესახებ, მითითებანი მართლწერის, გამოთქმის, მახვილისა და სხვ. შესახებ.

ძირითადი სიტყვების დალაგების წესი ანბანურია, მაგრამ იმ სიტყვების ჯგუფები, რომლებიც წარმომდგარია ერთი ძირიდან და ერთმანეთთან დაკავშირებულია მნიშვნელობით, გაერთიანებულია ერთ სალექსიკონო სტატიაში.

ენათმეცნიერების საკითხებში ამხანაგ სტალინის მითითებათა საფუძველზე ამჟამად ხელახლა იხილავენ ლექსიკონის მე-3 და 4-ე ტომის მასალას, რომლებიც დასაბეჭდად გადაეცემა 1951 წელს. მთელი ლექსიკონის გამოცემა დამთავრდება 7-8 წლის განმავლობაში.

თანამედროვე რუსული ლიტერატურული ენის სრული ლექსიკონის შექმნა საბჭოთა ენათმეცნიერების ერთ-ერთი პირველი რიგის ამოცანაა. ამხანაგ ი. ბ. სტალინის ისტორიულ მითითებათა მიხედვით ხელახლა იხილავენ აგრეთვე მასალებს ძველი რუსული ენის ლექსიკონისას, რომელიც 7 ტომად გამოიცემა. მისი პირველი ტომი დასაბეჭდავად გადაეცემა 1951 წელს. მისი შემდგენლები, იყენებენ რა ჩვენი ეპოქის უმდიდრეს ლიტერატურულ, პოლიტიკურ, სამეცნიერო და სხვა მასალებს, აგრეთვე აკადემიური ლექსიკონების გამოცემის თითქმის 150 წლის გამოცდილებას, ამოცანად ისახავენ ამ უბანზე განახორციელონ მარქსისტული ენათმეცნიერების საბრძოლო პროგრამა, რომელიც დასახულია ამხანაგ ი. ბ. სტალინის გენიალურ ნაშრომებში. (საქდესი).

მზადება ახალი სასწავლო წლისათვის

ამბროლაურელი მშრომელები ანაღდებენ ნაკისრ ვალდებულებებს

ახალი სასწავლო წლისათვის საუკეთესოდ მოსამზადებლად თელავის რაიონის მშრომელთა მოწოდებამ ფართო გამოხმაურება გამოიწვია ამბროლაურის რაიონის მშრომელთა შორის. ამბროლაურელებმა იკისრეს მთელი რიგი ვალდებულებანი და წარმატებით გააჩაღეს მუშაობა მათ შესასრულებლად.

სასწავლო წლისათვის სკოლების მომზადება მთელი რაიონის მოსახლეობის ერთ-ერთ სერიოზულ საზრუნავ საქმედ გადაიქცა. არ არის ახლა ისეთი კოლმეურნეობა, რომელიც აქტიურად არ მონაწილეობდეს ახალი სასწავლო წლისათვის მზადებაში.

ამბროლაურის რაიონში ამჟამად 11 საშუალო, 18 რვაწლიანი, 33 დაწყებითი და 5 სოფლის ახალგაზრდობის სკოლაა. ამ სკოლებში მუშაობს 580 მასწავლებელი, სწავლობს 7.000-ზე მეტი მოსწავლე.

სასწავლო წლისათვის მზადებას დაწყებისთანავე რაიონში მოვახდინეთ პირველ კლასში მისაღებ ბავშვთა აღრიცხვა, აგრეთვე იმ ბავშვების აღრიცხვა (7-დან 15 წლამდე ასაკისა), რომლებიც სხვადასხვა მიზეზით ჩამოშორდნენ სკოლას, მაგრამ მომავალი სასწავლო წლიდან ხელახლა უნდა ჩაებან სწავლაში. აქვე შეიძლება აღინიშნოს, რომ სკოლიდან შემთხვევით ჩამოშორებულ ბავშვთა რაოდენობა რაიონში მცირე აღმოჩნდა. სკოლებში ამჟამად უკვე დამთავრებულია როგორც სასკოლო ასაკის ბავშვთა აღრიცხვა, ისე კლასების დაკომპლექტება.

რაიონში თვალსაჩინო მუშაობაა გაწეული მასწავლებელთა საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად. ბევრ სოფელში კოლმეურნეებმა საკუთარი ინიციატივით ააშენეს სკოლების მახლობლად მასწავლებელთა საცხოვრებელი ბინები. პატარა ონის, სადმელის, ზნაკვის, ლიხეთის, სხვავის და სინათლის საშუალო სკოლების მახლობლად კოლმეურნეებმა შესანიშნავი საცხოვრებელი სახლები ააგეს მასწავლებელთათვის. ამჟამად ასეთსავე სახლებს აშენებენ წესის, ბარეულის, ნამანევის, ბოსტანის, ბუგეულისა და ჭრებალოს სასოფლო საბჭოებში. მასწავლებელთა საცხოვრებელი სახლების მშენებლობა ყველგან დამთავრდება ახალი სასწავლო წლის დასაწყისისათვის.

მოსახლეობამ კარგად იმუშავა სასკოლო მიწის ნაკვეთების და სასკოლო ეზოების შემოსაკავებლად და კეთილმოსაწყობად, ხოლო რვაწლიან სკოლებთან ფიზკულტურული მოედნების მოსაწყობადაც. ხალისით მუშაობენ კოლმეურნეები იმისათვის, რომ სასწავლო წლის პირველი დღეებიდანვე არაფერმა შეაფერხოს სწავლა. მათ შეაკეთეს სასკოლო ინვენტარი, მიზიდეს და სკოლის ეზოებში საიმედოდ შეინახეს შეშა. ახალი სასკოლო ინვენტარის დამზადება და ძველი ინვენტარის შეკეთება ყველგან დამთავრებულია. საკლასო დაფები, მერხები, მაგიდები, სკამები, კარადები დამზადებულია გაცილებით მეტი, ვიდრე გათვალისწინებული იყო.

აგვისტოს დასაწყისამდე რაიონში გვქონდა ჩამორჩენა სასკოლო შენობათა რემონტის საქმეში. ეს ჩამორჩენა განსაკუთრებით იგრძნობოდა ცახის, ხონჭიორისა და ველევის სასოფლო საბჭოებში. რაისაბჭოს აღმასკომმა ყურადღება მიაქცია ამ საკითხს, იქონია ამის შესახებ მსჯელობა, დასახა შესაფერი ღონისძიებანი და დაუყოვნებლივ შეუდგა მათ განხორციელებას. 15 აგვისტოსათვის სასკოლო შენობათა რემონტის დარგში ჩამორჩენა ლიკვიდირებული იყო მთელ რაიონში, ხოლო უმეტეს სასკოლო შენობათა რემონტი ვადამდე ბევრად ადრე — 29 ივლისისათვის იყო დამთავრებული. ამ საქმეში განსაკუთრებით ისახელეს თავი სხვავის, სადმელის, ხვანჭკარის, ამბროლაურის, ჩორჯოსა და ბოსტანის სასოფლო საბჭოებმა და კოლმეურნეობებმა.

მთელ რიგ სოფლებში წარმატებით მიმდინარეობს ახალი სასკოლო შენობების აგება. სოფელ ხვანჭკარაში აშენებენ რვაწლიანი სკოლის ახალ შენობას. სოფლის მოსახლეობამ ერთსულოვნად განაცხადა მზადყოფნა სასკოლო შენობის აგებაში უსასყიდლოდ მიიღოს მონაწილეობა, უზრუნველყოს მშენებლობა კვალიფიციური ოსტატი მშენებლებით და საშენი მასალების მიწოდებით. ამჟამად ამ შენობის აგება უკვე მთავრდება, ხოლო 1 სექტემბერს მის კარს პირველად შეაღებენ ხვანჭკარელ კოლმეურნეთა შვილები. გაფართოებულია ექვსი ახალი საკლასო ოთახის მიშენებით ამბროლაურის საშუალო სკოლის შენობაც.

რაიონის სკოლები უზრუნველყოფილია სახელმძღვანელოებით, რვეულებით და სხვა სასწავლო ნივთებით. შორეულ სოფლებში ბოლო ხანებამდე ეს საქმე ფერხდებოდა იმის გამო, რომ სავაჭრო ქსელის მუშაკებმა ვერ შეძლეს სავაჭრო წერტებში სახელმძღვანელოების დროულად მიტანა. მიღებულ ღონისძიებათა შედეგად ეს საქმე უკვე გამოსწორდა.

ყველა სკოლა უზრუნველყოფილია მაღალკვალიფიციურ მასწავლებელთა კადრებით, შენობებით, ინვენტარით, საწვავით, სახელმძღვანელოებით და ყოველივე იმით, რაც საჭიროა სწავლების მაღალ დონეზე დაყენებისათვის. საჭიროა აღინიშნოს, რომ ახალი სასწავლო წლისათვის მზადებას დიდი შრომა მოანდომეს სასოფლო საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეებმა და სოფლის აქტივმა.

ამბროლაურის რაიონის მშრომელთა შვილები ხალისით მოელიან 1 სექტემბერს, როდესაც სიხარულით შეაღებენ სკოლის კარს.

მ. ბიბილაშვილი

მშრომელთა დეპუტატების ამბროლაურის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე

დროულად აღმოფხვრათ ნაკლოვანებანი

ზუგდიდი. (საკ. კორ.). ახალი სასწავლო წლისათვის მზადება რაიონის ბევრ სკოლაში წარმატებით მიმდინარეობს, მაგრამ არის გამონაკლისებიც.

სოფელ კიროვის დაწყებით სკოლას არა აქვს საკუთარი შენობა. სკოლა მოთავსებულია სატყეო მეურნეობის განყოფილების კიროვის საუბნო შენობის ორ პატარა ოთახში. ზამთრობით ცეცხლს მხოლოდ ერთ ოთახში ანთებენ. აკლიათ ავეჯი. სოფელში დაწყებითი სკოლისათვის შენობის აგება ამ სამი წლის წინათ დაიწყეს და დღემდე არ დაუმთავრებიათ. მშენებლობისათვის გამოყოფილი თანხებიდან განიავებული და მითვისებული აღმოჩნდა 10 ათას მანეთამდე. თუ ამთავითვე საჭირო ზომები არ იქნა მიღებული, სკოლა ახალ სასწავლო წელს კვლავ მოუმზადებელი შეხვდება.

სოფელ ცაიშში საშუალო სკოლის შენობა, რომლის აგება ამ 7 წლის წინათ დაიწყეს, დღესაც დაუმთავრებელია. მშენებლობისათვის გათვალისწინებული თანხების დიდი ნაწილი გაანიავეს და მიითვისეს. დამნაშავენი პასუხისგებაში მისცეს, მაგრამ მარტო ამით მდგომარეობა როდი გამოსწორდა. მშენებლობა კვლავ არაორგანიზებულად, ნელი ტემპით მიმდინარეობს. ჭიანურდება სასკოლო შენობების რემონტი განმუხურში, გრიგოლიშსა და დიდინეძში.

ინგირის, ხეცერისა და ნარაზენის ჩაის საბჭოთა მეურნეობებში სკოლებს არა აქვთ სასპორტო მოედანი, შემოუკავებელია ეზო. სასკოლო შენობებში მეურნეობათა დირექციები ზაფხულობით ასახლებენ ისეთ პირებს, რომლებსაც სკოლასთან საერთო არა აქვთ რა, ზიანდება დგამ-ავეჯი.

ზოგან სასოფლო საბჭოებისა და კოლმეურნეობათა ხელმძღვანელი მუშაკები არ ზრუნავენ სკოლების შეშით დროულად მომარაგებისათვის. საქმისადმი უყაირათო დამოკიდებულების შედეგი იყო, რომ გასული სასწავლო წელი თითქმის უშეშოდ გაატარეს ორულუს, ერგეტის, დიდინეძისა და კიროვის სკოლებში. ამ სოფლებში წელსაც ჯერჯერობით შეშისათვის არ უზრუნიათ.

პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა, კოლმეურნეობათა გამგეობებმა ყველაფერი უნდა გააკეთონ ახალი სასწავლო წლისათვის მზადების წარმატებით დასამთავრებლად.

მეშახტეთა ქალაქის კეთილმოწყობა

ტყიბული. (საკ. კორ.). უკანასკნელ ორ-სამ წელიწადში ქალაქს შეემატა მეშახტეთა რამდენიმე ათეული მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი, კეთილმოწყობილი კლუბი, საბავშვო ბაღი და სხვა ნაგებობანი. მნიშვნელოვნად გადიდდა ბიბლიოთეკების, სამკურნალო დაწესებულებებისა და მაღაზიების ქსელი. მეშახტეთა ქალაქი ყოველწლიურად უფრო კეთილმოწყობილი ხდება. ამჟამად წარმოებს ტყიბულის მთავარი ქუჩის მოასფალტება. ეს ქუჩა ქალაქის ცენტრს დააკავშირებს განაპირა უბნებთან.

წელს დამთავრდება სამსართულიანი ოცდაერთბინიანი კაპიტალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, მოეწყობა 50-საწოლიანი საავადმყოფო, ლენინის სახელობის შახტთან გაიხსნება სამრეწველო-სასურსათო მაღაზია და ახალი სასადილო.

მეშახტეთა ცენტრალურ უბანში დაიწყო ახალი შენობის აგება საშუალო სკოლისათვის. მდინარე ტყიბულას, რომელიც ქალაქს ჩამოუდის, გაუკეთებენ ბეტონის კალაპოტს, რაც უფრო მეტ სიმშვენიერეს შემატებს ტყიბულს.

სოფკორთა საოლქო შეკრება

სოხუმი. (საკ. კორ.). შედგა აფხაზეთის სოფლის კორესპონდენტთა საოლქო შეკრება, რომელსაც 500-ზე მეტი კაცი დაესწრო.

კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების მუშაობის გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში სოფლკორთა როლის შესახებ მოხსენება გააკეთა პარტიის საოლქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ამხ. ვ. ადამიამ.

კამათში გამოსულმა სოფლკორებმა ილაპარაკეს თავიანთი მუშაობის გამოცდილებაზე, საოლქო და რაიონული გაზეთების რედაქციებთან კავშირზე, გაზეთების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებზე.

სოფლკორმა აჩიგვარის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში ამხ. ი. არქანიამ გააკრიტიკა გაზეთ „სოვეტსკაია აბხაზიას" რედაქცია, რომელიც საკმაო ყურადღებით არ ეკიდება კორესპონდენტთა შენიშვნებს, არ აწყობს მათთან კონსულტაციებსა და საუბრებს.

ოჩამჩირის რაიონის სოფელ აძიუბჟის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის პირველადი პარტორგანიზაციის მდივანმა, სოციალისტური შრომის გმირმა ა. კობახიამ, სოხუმის რაიონულ გაზეთ „სტალინელის" კორესპონდენტმა გ. ჭიჭინავამ, გაზეთ „საბჭოთა აფხაზეთის" სოფლკორმა ი. სალიამ, გაზეთ „სოვეტსკაია აბხაზიას" სოფლკორმა, სოციალისტური შრომის გმირმა გ. თოფურიამ და სხვებმა შეკრების მონაწილეებს გაუზიარეს თავიანთი, როგორც კორესპონდენტების მუშაობის გამოცდილება, გააკრიტიკეს საოლქო გაზეთების რედაქციები, რომლებსაც არასაკმაო კავშირი აქვთ სოფლკორებთან და ზოგჯერ უსულგულოდ ეკიდებიან მათს წერილებს.

კორესპონდენტებმა წამოაყენეს მთელი რიგი პრაქტიკული წინადადებანი.

შეკრებაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. ა. მგელაძემ. მან ილაპარაკა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდების, სოფლის პარტიული და სამეურნეო ორგანიზაციების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა დროულად მხილებისა და ლიკვიდაციის საქმეში გაზეთებისა და მათი ფართო აქტივის — სოფლკორთა როლის შესახებ.

შეკრებამ მიიღო სათანადო გადაწყვეტილება.

საბჭო იბრძვის სოფლის კეთილმოწყობისათვის

ქარელი. (საკ. კორ.). რაიონული ცენტრი — სოფელი ქარელი მდიდარია ბუნებრივი სასმელი წყლებით. სასოფლო საბჭოს ინიციატივით ამ უკანასკნელ ხანს აქ 6 წყაროს გაუკეთდა ბეტონის სადინარი.

ქარელის საბჭოში შემავალ სოფელ აფნისში მრავალი წლის განმავლობაში სასმელი წყლის ნაკლებობას განიცდიდნენ. საბჭოს ინიციატივით და კოლმეურნეთა აქტიური შრომითი მონაწილეობით მალე სოფელში ორი კილომეტრის სიშორიდან გამოიყვანეს სუფთა სასმელი წყალი.

სასოფლო საბჭოს კეთილმოწყობის მუდმივი კომისიის თავმჯდომარემ დეპუტატმა ა. არხოშაშვილმა კარგად შეისწავლა საბჭოში შემავალ სოფლებში მისასვლელი და საუბნო გზების მდგომარეობა. შემოწმებამ ცხადყო, რომ ცუდი ამინდების დროს სოფლებში არსებული ხის ბოგირები ხშირად ინგრეოდა და ძნელდებოდა ზედ გავლა. ეს საკითხი განიხილა სასოფლო საბჭოს სესიამ. მალე შეიძინეს საჭირო რაოდენობის ცემენტი და მშრომელთა აქტიური მონაწილეობით ქარელში გაკეთდა 10 მკვიდრი ბოგირი და მისასვლელ გზებზე დაიყარა დიდძალი ხრეში.

კარგი ინიციატივა გამოიჩინა სასოფლო საბჭომ სოფლის სკოლების მშენებლობისა და კეთილმოწყობისათვის. სოფელ ბებნისში და ქვემო ლეთეთში დამთავრდა სკოლების შენობათა დიდი ხნის წინათ დაწყებული მშენებლობა, ხოლო სოფელ ზემო ლეთეთში სკოლისათვის ახალი შენობა შეიძინეს.

„კომუნისტის" სიგნალის შემდეგ

„თიბვის ხელსაყრელ პირობებს ხელიდან უშვებენ"

ამ სათაურით „კომუნისტის" 4 აგვისტოს ნომერში დაიბეჭდა კორესპონდენცია, რომელშიც გაკრიტიკებული იყო სოფელ ზემო ჭალადიდისა და თეკლათის კოლმეურნეობების მუშაობა თივის აღებისა და საკვების დასილოსების საქმეში.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცხაკაიას რაიკომის მდივანი ამხ. ვ. გუგუნავა გვატყობინებს, რომ წერილში მოყვანილი ფაქტები მთლიანად დადასტურდა. ეს საკითხი განიხილა რაიკომის ბიურომ და დასახა საჭირო ღონისძიებანი ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

ფეხბურთი

18 და 19 აგვისტოს, ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებში ჩატარდა მორიგი კალენდარული მატჩები ფეხბურთში. მოსკოვის „ტორპედომ" მოიგო ბაქოს „ნეფტიანიკს", ანგარიშით 2:0. თბილისის „დინამომ" დამარცხა კიევის „დინამო", ანგარიშით 2:1. ლენინგრადის „ზენიტისა" და „ცდკა"-ს შეხვედრა დამთავრდა არმიელ ფეხბურთელთა გამარჯვებით, ანგარიშით 8:1.

ინდოელი ჟურნალისტი საბჭოთა კავშირის შესახებ

ი. სინელნიკოვი

★

ჟურნალისტ იკბალ სინგხის სახელი ცნობილია ინდოეთში. მისი სტატიები საერთაშორისო თემებზე იბეჭდება მთელ რიგ გამოცემებში, კერძოდ, მთავრობის წრეებთან ახლო მდგომ გაზეთ „ნეიშნლ ჰერალდში". ამას წინათ ინდოეთისა და პაკისტანის რამდენიმე გაზეთსა და ჟურნალში გამოქვეყნდა მისი შთაბეჭდილებანი საბჭოთა კავშირში მოგზაურობის შესახებ. სინგხის ეს სტატიები უეჭველად ყურადღების ღირსია.

სინგხი საბჭოთა კავშირში პირველად ჩამოვიდა. იგი თვითონ აღიარებს, რომ იმყოფებოდა ყბადაღებული „რკინის ფარდის" და „საბჭოთა იზოლაციონიზმის" შესახებ ბურჟუაზიული პროპაგანდის შთაბეჭდილების ქვეშ, იმდენად, რომ პირველად იგი გაოცდა კიდევაც, რომ მისი დოკუმენტები საზღვარზე შეამოწმეს „ისეთივე თავაზიანობითა და მიუდგომლობით", როგორც საბჭოთა მოგზაურების დოკუმენტები. შემდეგ მას შესაძლებლობა მიეცა თვალყური ედევნებინა საბჭოთა ქვეყნის ყოველდღიური ცხოვრებისათვის და საქმით დარწმუნებულიყო იმ ანტისაბჭოთა მონაჭორების სიყალბეში, რომლებითაც სავსეა ბურჟუაზიული პრესა და მათ შორის ინდოეთის პრესაც. სწორედ ამის შესახებ მოუთხრობს იგი ინდოელ მკითხველებს.

სინგხს, რომელიც საბჭოთა კავშირში ჩამოსვლამდე დასავლეთ ევროპის მარშალიზებულ ქვეყნებში იყო, განსაკუთრებით ეცა თვალში უწინარეს ყოვლისა საბჭოთა ეკონომიკის წარმატებანი, მით უმეტეს, რომ მსოფლიოს არც ერთ ქვეყანას არ მოსვლია ასეთი მძიმე ზარალი მეორე მსოფლიო ომის მსვლელობაში.

„ვერავინ ვერ წარმოიდგენს იმ ნგრევას, რაც ჰიტლერმა მიაყენა საბჭოთა კავშირის დასავლეთ რაიონებს,—წერს სინგხი, — ვერავინ ვერ წარმოიდგენს აგრეთვე საბჭოთა ხალხის შეუპოვრობას და მის ტიტანურ ღონისძიებებს მეურნეობის აღსადგენად".

უკვე მოსკოვისაკენ გზად სინგხმა შეძლო გასცნობოდა ამ ტიტანური ღონისძიებების რეალურ შედეგებს:

„მთელი დღის განმავლობაში ჩვენი მატარებელი მიდიოდა ასობით დიდი და პატარა სოფლისა და ქალაქის მახლობლად. ისინი ხელახლა აშენებულია..."

ინდოელი ჟურნალისტი უარყოფს ცილისწამებას, რასაც მთელ მსოფლიოში ავრცელებენ ინგლისისა და ამერიკის პროპაგანდისტული ცენტრები იმის შესახებ, რომ საბჭოთა ქვეყანაში მშრომელთა ცხოვრების დონე თითქოს „დასავლეთ ევროპის ცხოვრების დონეზე დაბალია".

„თვით ხელფასის ცნება,—წერს სინგხი, — საბჭოთა კავშირში იმდენად განსხვავდება ჩვეულებრივისაგან, რომ ფულად გამოხატულებაზე მისი გადაყვანის გზით შედარებისათვის საჭიროა მხედველობაში მივიღოთ ყველა ის პრივილეგია და სიკეთე, რითაც აქ მუშები სარგებლობენ".

სინგხი ამას ადასტურებს ფაქტებითა და შედარებებით:

„ლონდონში მუშა ბინაში იხდის თავისი ხელფასის 15-25 პროცენტს. მოსკოვში ბინის ქირა შეადგენს მუშის ბიუჯეტის სულ 2-დან 5 პროცენტამდე".

იმ დროს, როცა კაპიტალისტურ ქვეყნებში, მათ შორის სინგხის სამშობლოში, ინდოეთში, გადასახადები ნთქავენ მშრომელთა შემოსავლის უდიდეს ნაწილს, საბჭოთა კავშირში

„გადასახადით დაბეგვრა მეტისმეტად დაბალია და მერყეობს 5-13 პროცენტის ფარგლებში. არ არის დაქვითვა საექიმო დახმარებისათვის და უმუშევრობისაგან დაზღვევის შესატანი. სამედიცინო მომსახურება აქ უფასოა, ხოლო უმუშევრობა წარმოუდგენელია ყველასათვის, ვისაც მუშაობა სურს".

არ არის მხოლოდ ერთი სახის საქონელი, — წერს სინგხი, — ამერიკული ჩაწოლილი კონსერვები, რომლებითაც სავსეა მარშალიზებული ევროპა. ესეც დამახასიათებელია.

ადევნებდა რა თვალყურს საბჭოთა სინამდვილეს, სინგხი მივიდა ასეთ დასკვნამდე:

„თუ საბჭოთა ეკონომიკის უახლოესი პერსპექტივები ბრწყინვალეა, უფრო ხანგრძლივი დროის პერსპექტივები პირდაპირ მომხიბვლელია. საბჭოთა ეკონომიკამ მიაღწია ისეთ პუნქტს, როცა მისი განვითარება მუდმივი გახდა და გეომეტრიული პროგრესიით წარმოებს".

ინდოელ ჟურნალისტზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა კულტურის აყვავებამ სოციალიზმის ქვეყანაში.

„საბჭოებმა,—წერს იგი, — არა მარტო დიდ წარმატებებს მიაღწიეს წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციაში: მათ რაღაც უფრო მეტი გააკეთეს, ხალხს გაუღვიძეს სერიოზული ინტერესი ცხოვრებისა და ლიტერატურისადმი. ეს მხედველობაში უნდა იქონიოს დასავლეთმა, რომელიც უპირატესობის პრეტენზიას აცხადებს „კულტურისა" და „მორალური ღირებულების" მხრივ".

სინგხი არც კი ცდილობს შეადაროს საბჭოთა კავშირი თავის უბედურ სამშობლოს, რომელიც ინგლისელ კოლონიზატორთა სურვილით მთლიანი წერა-კითხვის უცოდინარობის ქვეყნად რჩება. იგი შედარებისათვის იღებს ისეთ დიდად განვითარებულ ქვეყანას, როგორიცაა ინგლისი.

„იმ დროს, როცა ინგლისის მცხოვრებთა სამი მეოთხედი,—წერს იგი, — არასოდეს არ ყოფილა უფრო სერიოზულ თეატრში, ვიდრე მიუზიკ-ჰოლია, და არასოდეს არ უნახავს შექსპირის არც ერთი პიესა... საბჭოთა პატარა კოლმეურნეობებსაც კი აქვთ საკუთარი მოყვარულთა თეატრი. რაც შეეხება შექსპირს, იგი, უეჭველია, საბჭოთა რუსეთში უფრო მეტად იდგმება, ვიდრე ინგლისში".

სინგხი ადარებს საბჭოთა ხალხის კულტურულ ცხოვრებას დასავლეთ ევროპისას.

„მოსკოვის კულტურული მიღწევები,—ამბობს იგი,—დიდ შთაბეჭდილებას ახდენენ არა მარტო რაოდენობით, არამედ ხარისხითაც. მოსკოველები ძალიან მომთხოვნელები არიან შემსრულებელი ხელოვნებისადმი და როგორც პროფესიონალი მსახიობებისაგან, ისე სცენის მოყვარეთაგან მოითხოვენ შესრულების მაღალ ნიმუშებს. სპექტაკლებს, რომლებიც დასავლეთის დედაქალაქებში შედევრებად ჩაითვლებოდა, მოსკოვში განიხილავენ, როგორც ცუდად თუ ბევრად დამაკმაყოფილებელს... მაგრამ მოსკოვის საზოგადოება... ისე როგორც არავის, შეუძლია სწორად შეაფასოს ნამდვილი ნიჭი. როგორც ჩანს, ნამდვილმა მსახიობმა სწორედ საბჭოთა კავშირში ჰპოვა თავისათვის იდეალური აუდიტორია".

საბჭოთა თეატრი, სინგხის სიტყვით, განსხვავდება ლონდონისა და პარიზის საუკეთესო თეატრებისაგან, როგორც „ოქრო განსხვავდება ვარაყისაგან". ამ მოვლენის ფესვები იმაშია, რომ საბჭოთა კავშირში თეატრი, ისევე, როგორც ხელოვნების სხვა სახეები

„არ ემორჩილება „ბაღლარის დავთრის კანონებს"... არ არის დამოკიდებული თეატრალური პარაზიტების ბანდაზე და სინდიკატების კონტროლზე".

არა მარტო თეატრი, — საბჭოთა ქვეყნის მთელი კულტურული ცხოვრება გაცილებით უფრო მაღალ დონეზეა, ვიდრე კაპიტალისტურ ქვეყნებში, და რაც მთავარია,

„საბჭოთა კავშირში არ არის კულტურული ცხოვრების ორი სხვადასხვა დონე: ერთი რჩეული უმცირესობისათვის და მეორე ფართო მასებისათვის".

* * *

მრავალეროვანი ქვეყნის მცხოვრებისათვის, რომელიც ორი საუკუნის მანძილზე იმპერიალისტთა ჩაგვრას განიცდის, განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენდა საბჭოთა ეროვნული რესპუბლიკების ცხოვრება. სინგხის მიერ გამოქვეყნებული ბევრი სტატია მიძღვნილია მისი მოგზაურობისადმი საქართველოში. აქ სინგხი უფრო ხშირად, ვიდრე სადმე, ადარებს ნახულს იმას, რაც მის მშობლიურ ქვეყანაში ხდება, — ისეთსავე მზიურში, როგორიც საქართველოა, მაგრამ, რომელიც ასეთი ბედნიერი როდია.

კოლონიური მონობით ინდოეთის დამახინჯებული ეკონომიკის რა კონტრასტს წარმოადგენს საქართველოს სოციალისტური ეკონომიკა, სადაც ჰარმონიულად ვითარდება მრეწველობა და სოფლის მეურნეობა! თავისი სამშობლოს მდგომარეობის გამო სიმწარის გრძნობით სინგხი აღნიშნავს, რომ მარტო თბილისში

„ყველას შეუძლია დაინახოს მეტი სამრეწველო და საბინაო მშენებლობა, ვიდრე ინდოეთის ექვსივე პროვინციაში ერთად".

თბილისის კულტურულ ცხოვრებას, წერს იგი, შეუძლია შენატროდეს ყოველი დიდი კაპიტალისტური სახელმწიფოს დედაქალაქი.

სინგხი აღნიშნავს, რომ საქართველოში ერთი კვალიფიციური პედაგოგი მოდის 300 მოსახლეზე, ერთი ექიმი 400 კაცზე და ერთი აგრონომი 500 მცხოვრებზე. მას აოცებს ეს ციფრები. ინდოეთში ხომ 10.000 მცხოვრებზე ერთი ექიმი მოდის, აგრონომზე კი ინდოელ გლეხს არც კი გაუგონია.

„საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე მთელ საქართველოში ასამდე სკოლა იყო, — მოუთხრობს თავის მკითხველებს ინდოელი ჟურნალისტი.—ამჟამად გარდა ოთხი ათასი დაწყებითი სკოლისა, არის კიდევ ათასი საშუალო სკოლა, 8 უნივერსიტეტი და ინსტიტუტი, ისეთი სპეციალური სასწავლებლების ჩაუთვლელად, როგორიცაა პედაგოგიური ინსტიტუტი, თეატრალური სასწავლებელი, სამხატვრო აკადემია".

მაგრამ ყველაზე მეტად, უფრო მეტად, ვიდრე პროგრესმა ეკონომიკისა და კულტურის დარგში, სინგხი გააოცა იმან, რაც საბჭოთა ადამიანს სავსებით ბუნებრივად მიაჩნია—ეროვნული ჩაგვრის მოსპობა, ეროვნული დისკრიმინაციის მოსპობა:

„არც ერთი [illegible] არ შეხვდი, არ [illegible] რომ [illegible] მცირე ერს ეკუთვნის... ქართველები... ამაყობენ როგორც თავიანთი მიღწევებით სოციალისტური საზოგადოების მშენებლობაში, ისე თავიანთი ისტორიული წარსულით".

სინგხი მოაგონებს მკითხველებს, რომ თანამედროვე ინდოეთში ათობით მილიონი ადამიანი უაღრესად დამამცირებელ მდგომარეობაში იმყოფება, რომ ინგლისელი და ამერიკელი რეზიდენტები ისე იქცევიან, როგორც „უმაღლესი რასის" წარმომადგენლები:

„თბილისის ყველაზე მნიშვნელოვან და ყველაზე ლამაზ ქუჩას ეწოდება რუსთაველის ქუჩა, დიდი ქართველი პოეტის სახელი... მე არ შემეძლო არ გამხსენებოდა, რომ ინდოეთის დედაქალაქში მარტო ერთ პატარა შესახვევს ეწოდება თაგორის სახელი, მაშინ როცა დელის ყველა მთავარ ქუჩას ეწოდება უბადრუკი, ყველასაგან დავიწყებული ინგლისელი გუბერნატორების სახელები".

ავტორმა თვითონაც გაიგო და თავის მკითხველებსაც განუმარტა, რომ საქართველოს აყვავება და მისი ხალხის ბედნიერება შედეგია საბჭოთა ქვეყნის სტალინური პოლიტიკისა ეროვნულ საკითხში.

* * *

განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს სინგხის ის სტატიები, რომლებშიც იგი ლაპარაკობს საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკაზე. იგი უარყოფს იმპერიალისტ პოლიტიკოსთა და მათს ინდოელ დამქაშთა მონაჭორს საბჭოთა კავშირის „ექსპანსიონიზმის" შესახებ, გარეშე სამყაროსაგან მისი „იზოლაციის" შესახებ. სინგხმა თვალნათლივ დაინახა, რომ საბჭოთა ხალხი მშვიდობისაკენ ისწრაფვის, რომ საბჭოთა მთავრობა თანმიმდევრულად იცავს მშვიდობის საქმეს და იბრძვის საერთაშორისო უშიშროებისათვის.

სინგხს თვალში ეცა განსხვავება დასავლეთისათვის დამახასიათებელ მერყეობასა და ომის ისტერიასა და საბჭოთა ხალხის ჯანსაღ ოპტიმიზმს შორის, საბჭოთა ხალხისა, რომელიც გატაცებულია მშვიდობიანი შრომით და დარწმუნებულია ხვალინდელ დღეში.

„საბჭოთა ხალხს,—წერს იგი,—არ აწუხებს ის, თუ რას ფიქრობენ უცხოელი ჟურნალისტები მისი პოლიტიკური სისტემის შესახებ... მას თვითონ ოდნავი ეჭვიც არა აქვს, რომ საბჭოთა დემოკრატია რეალური, სიცოცხლისუნარიანი და პროგრესულია".

სინგხი საბჭოთა კავშირში იმ დროს იყო, როცა მოსკოვში ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირ-ჩინეთის მეგობრობის ხელშეკრულებას.

„ხელშეკრულების პირობები, — წერს იგი, —არავისათვის არ ყოფილა მოულოდნელი, გარდა იმათი, ვინც საკუთარი ჰალუცინაციის მსხვერპლი გახდა".

იგი სწორად აფასებს ხელშეკრულებას, როგორც იმ ურთიერთობის ბუნებრივ გამოხატულებას, რომელიც არსებობს საბჭოთა კავშირსა და დემოკრატიული განვითარების გზაზე დამდგარ ქვეყნებს შორის. ამ „თანხმობას თანასწორთა შორის" იგი უპირისპირებს კაპიტალისტური სამყაროს წესრიგს მისი უთანასწორო გარიგებებით

„ბატონებულ სახელმწიფოსა და იმათ შორის, ვისაც შეგნებული აქვს თავისი სისუსტე და დამოკიდებულება".

სინგხი ხაზგასმით აღნიშნავს საბჭოთა კავშირ-ჩინეთის ხელშეკრულების, უწინარეს ყოვლისა, როგორც აზიის ქვეყნებში მშვიდობის განმტკიცების ფაქტორის უდიდეს საერთაშორისო მნიშვნელობას:

„შენიშნავენ ამას თუ არა აზიის ქვეყნების მმართველები, მაგრამ აზიის ხალხები, უეჭველია, საკუთარ დასკვნებს გააკეთებენ... ისინი გაიგებენ, თუ ვინ არის მათი მტერი და ვინ მეგობარი".

სინგხი აჯამებს თავის დაკვირვებებს და საყურადღებო დასკვნას აკეთებს იმის შესახებ, რომ „ორი სისტემის მშვიდობიანი ეკონომიური შეჯიბრება დაამტკიცებს საბჭოთა სისტემის უპირატესობას კაპიტალიზმზე".

* * *

იკბალ სინგხის სტატიები თავისუფალი არ არის შეცდომებისა და ნაკლოვანებებისაგან. მაგრამ იგი არ ეკუთვნის საბჭოთა კავშირში ჩამოსულ იმ უცხოელ კორესპონდენტთა რიცხვს, რომლებიც „ხედავენ მხოლოდ იმას, რის დანახვაც სურთ", და წერენ მხოლოდ იმას, რაშიაც ფული აქვთ გადახდილი კაპიტალისტურ მონოპოლიებს. იგი არ გაურბოდა საბჭოთა ადამიანებს, ცდილობდა პატიოსნად გარკვეულიყო საბჭოთა სინამდვილეში და სიმართლით ეამბნა მკითხველებისათვის ამის შესახებ. ეს არის მისი სტატიების ღირსება მტკიცე მშვიდობისა და ხალხთა მეგობრობის მომხრეებისათვის.

ჟურნალი „ნოვოე ვრემია" № 29

აგარაკ თეთრწყლების შესახებ

კახეთში სააგარაკო და საკურორტო ადგილი ბევრია, მაგრამ მათი დიდი ნაწილი ჯერჯერობით ან ძნელად მისადგომია, ან საზაფხულო საძოვრების ზონაში მდებარეობს. მიუხედავად ამისა, მოსახლეობა მაინც სარგებლობს. სარაიონო მნიშვნელობის დასასვენებელი ადგილებით. ასეთია: მაღარო, შუამთა, თეთრწყლები, თორღვას აბანო, მთათუშეთი, ტბათანა, საბუე და სხვ.

სოფელი თეთრწყლები თელავის რაიონში მდებარეობს. სოფელი თელავიდან 18 კილომეტრზე, თელავგომბორ-თბილისის გზატკეცილის ორივე მხარეზე მდებარეობს. ტერიტორიის ნაწილობრივ ზეგანის იერი აქვს, მისი სიმაღლე ზღვის დონიდან 1.220 მეტრია. მთელ ზეგანს აგარაკისათვის უაღრესად ხელსაყრელი პირობები აქვს. სამი მხრიდან შემოზღუდულია ცივგომბორის მთაგრეხილის ალპური ზონის საძოვრებიანი მწვერვალებით, რომლებიც ზეგანს ქარებისაგან იცავს. მხოლოდ ერთი მხრივ, ჩრდილოეთისაკენ იხსნება რკალი და ზეგანი გადაჰყურებს კავკასიონსა და ალაზნის ველს. ზეგანის ირგვლივ ტაფობი და მთის კალთები დაფარულია ტყით. ასეთი პირობები თეთრწყლებში ქმნის უაღრესად სუფთა და შეზავებულ ჰაერს. აქ მუდამ საამო სიო ქრის და გრილა.

თეთრწყლების კლიმატი საუკეთესოდ მოქმედებს ჯირკვლებით დაავადებულ ბავშვებზე. თეთრწყლებში გამოდის საკმაო დებიტის მქონე გოგირდის წყალი, რომელიც ქვებზე ტოვებს მოთეთრო ფერის ნივთიერებას და ამიტომაც ამ ადგილისათვის თეთრწყლები დაურქმევიათ. სათანადო დაკვირვებით ამ წყალს დიდი სამკურნალო თვისება აქვს, განსაკუთრებით ბავშვთა რაქიტის წინააღმდეგ.

თეთრწყლები, როგორც სააგარაკო ადგილი, ცნობილი გახდა უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში. ახლა აქ ყოველწლიურად მოდიან დამსვენებლები, როგორც კახეთის რაიონებიდან, ისე თბილისიდან და სხვა ქალაქებიდან.

თეთრწყლებში დამსვენებლები განიცდიან ბინების დიდ სივიწროვეს. სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე არის მხოლოდ რვაწლიანი სკოლისა და საგზაო უბნის რამდენიმე ოთახიანი შენობა. საბავშვო ბაღების ბავშვებსა და მომსახურე პერსონალსაც კი კერძოდ დაქირავებულ ბინებში უხდებათ ცხოვრება.

საჭიროა თეთრწყლებს, როგორც კარგ სააგარაკო ადგილს, ჯეროვანი ყურადღება მიექცეს. ყოველმხრივ შესწავლილ უნდა იქნას თეთრწყლების ზეგანი და დაიგეგმოს სააგარაკო მშენებლობისათვის. ამ საქმით უნდა დაინტერესდეს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო.

ს. ქოჩლაძე

„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

ფელეტონი

ტრუმენი „სპობს" კომუნიზმს

— მიშველეთ. მიშველეთ! — გაჰყვიროდა ნაშუაღამევს დედიშობილად ქუჩაში გამოვარდნილი მოქალაქე. გაიქცეოდა, გაჩერდებოდა... ყურს მიუგდებდა, შუბლში ხელს იტკეცდა და ისევ გარბოდა ყვირილით.

— მოდიან, მოდიან, დავიღუპე... მიშველეთ!

მას უკან მისდევდნენ, მაგრამ მისდევდნენ არა მტრები, არამედ მეგობრები და ამშვიდებდნენ:

— ნუ გეშინია, დაწყნარდი, არავინ არ მოდის. ტანსაცმელი მაინც ჩაიცვი —სირცხვილია!

ფიქრი არა გაქვთ! ქუჩაში გავარდნილი მოქალაქე არავის ყურს არ უგდებდა და გარბოდა, სანამ არ გადაიჩეხა ორმოში, საიდანაც ძლივს ამოათრიეს მეგობრებმა.

ეს მოხდა შარშან აპრილში, ფლორიდის ერთ-ერთ ქუჩაზე მისტერ ჰარიმანის სასახლის მახლობლად.

ტანსაცმელშემოგლეჯილი გარბოდა და შველას ითხოვდა არა ვინმე უბრალო ადამიანი, არა რიგითი ამერიკელი, გაძარცული ან რაიმე ხიფათში ჩავარდნილი. არა!

ის იყო კაცი, რომელსაც ემორჩილებოდა ამერიკის მთელი შეიარაღებული ძალები: სახმელეთო, საზღვაო, საჰაერო... კაცი, რომელსაც ღილაკზე ერთი თითის დაჭერით შეეძლო აემოქმედებინა ამერიკის მთელი სამხედრო მანქანა. იგი გახლდათ ამერიკის პრეზიდენტ ტრუმენის მარჯვენა ხელი, ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრი ფორესტოლი—„ცივი ომის" „გმირი", რომელმაც იმდენი იქაქანა „კომუნიზმის საფრთხეზე", რომ კომუნიზმის შიში ტვინში აუვარდა.

რა მოუვიდა ფორესტოლს? რატომ გარბოდა ტანსაცმელშემოგლეჯილი ამერიკის თავდაცვის მინისტრი ისე, რომ ერთი „ფიშტოც" არ გაუსვრია არათუ ამერიკის, არამედ თავისი თავის დასაცავად?

ფლორიდაში ჰარიმანის სასახლეში სარეცელზე წამოწოლილს, მსოფლიო ბატონობაზე ფიქრებში გართულს, ძილში ჩაჰყვა კომუნისტების შიში. შიშს დიდი თვალები აქვსო, იტყვიან. ფორესტოლს შუაღამისას შემოესმა საყვირის ხმა. ეს იყო საყვირი სახანძრო რაზმის მანქანისა, რომელიც მიიჩქაროდა შემთხვევით გაჩენილი ხანძრის ჩასაქრობად. სახანძრო რაზმის მანქანის გრუხუნის გაგონებაზე ფორესტოლმა გადაწყვიტა, ამერიკაში კომუნისტები შემოვიდნენო. მისი ტვინის უჯრედებში ერთბაშად მოხდა დეფორმაცია. ბევრი აღარ უფიქრნია, ისკუპა ჰარიმანის ვილის ფანჯრიდან, შემოიხია ტანზე რაც კი რამ ეცვა, და უკანმოუხედავად მოუსვა. გარბოდა და შველას ითხოვდა.

მეგობრებმა ცოცხალმკვდარი ფორესტოლი მერილენდის შტატის სამხედრო-საზღვაო ჰოსპიტალ „ვიფეზდაში" მეთექვსმეტე სართულზე მოათავსეს, საიდანაც მან კვლავ ისკუპა. „ცივი ომის" გმირმა ცივად განუტევა სული.

მას შემდეგ, რაც ამერიკის თავდაცვის მინისტრი ფორესტოლი მსხვერპლად შეეწირა „კომუნიზმის შიშმა", ამ სენს უწოდებენ „ფორესტოლეპსიას". ეს, თუ შეიძლება ასე ითქვას, ბნედისებური მოვლენაა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ გადამდებია და უკანასკნელ დროს ახალი ომის გამჩაღებლებს შორის ვრცელდება არანაკლებ, ვიდრე კოლორადოს ხოჭო კარტოფილის მინდორზე. მისი ბაცილები ფეხს იკიდებენ ტვინის უჯრედებში და იწვევენ აზროვნების მოშლილობას.

აწ განსვენებული „ცივი ომის" მსხვერპლის — ფორესტოლის ბედი მოგვაგონა „ცხელი ომის" გამჩაღებელმა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ტრუმენმა, რომელმაც ამ დღეებში მორიგი ეპისტოლეთი მიმართა კონგრესს.

თუ დააკვირდებით ტრუმენის ამ წერილს, უსათუოდ აღმოაჩენთ შიგ „ფორესტოლეპსიას", რომელიც თანდათანობით ვითარდება.

ტრუმენი ამ წერილში ჯერ მოითხოვს აღუკვეთონ ამერიკელ ხალხს აზრის თავისუფლად გამოთქმის უფლება, რისთვისაც საჭიროდ თვლის მკაცრი ანტიდემოკრატიული ზომების განხორციელებას. შემდეგ იგი მოითხოვს შეესიონ პროგრესულ ელემენტებს, დააპატიმრონ შინაური და გარეშე სალადმოაზროვნე ადამიანები, ხოლო რაც მთავარია, არ გააჭაჭანონ კომუნისტები. მისი ეპისტოლე თავდება ისტერიული შეძახილით:

— მე მოვსპობ კომუნიზმს!

ძალიან მაგრად არის ნათქვამი! თითქმის ისევე, როგორც ამას გაიძახოდა თავაწყვეტილი ბნედიანი ეფრეიტორი ჰიტლერი, რომელმაც, როგორც ცნობილია, კომუნიზმს კი არა, თავის თავს მოუღო ბოლო.

— კომუნიზმს მე მოვსპობ, ოღონდ გამიშვითო, — სწორედ ასე გაიძახოდა განსვენებული ფორესტოლიც.

რა გზით წავა ტრუმენი? ძნელი სათქმელია. მართალია, ჯერჯერობით ის ტანსაცმელს არ იგლეჯს, მაგრამ არის ნიშნები, რომ ისიც გაიზიარებს ფორესტოლის ან ჰიტლერის ბედს.

გერმან შუბიძე

საომარი მოქმედება ვიეტნამში

შანხაი, 18 აგვისტო. (საკდესი). როგორც ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო გადმოგვცემს, ამა წლის 7 მარტიდან 30 ივნისამდე ლანგ-სონ-კაო-ტონგის გზატკეცილის გაყოლებით ვიეტნამის სახალხო არმიისა და პარტიზანების შეტევის დროს მოსპობილია საფრანგეთისა და დამხმარე ნაწილების 60 ჯარისკაცი, ხოლო 265 ჯარისკაცი წამოყვანილია ტყვედ. ამავე ხნის განმავლობაში ჩამოგდებულია საფრანგეთის 5 თვითმფრინავი და სამი თვითმფრინავი ძლიერ დაზიანებულია; დაიწვა სამხედრო მასალის საწყობი.

სახალხო არმიამ ხელთ იგდო 6 საარტილერიო ქვემეხი, 146 ტყვიამფრქვევი, 550 შაშხანა, 7 ავტომანქანა, ბევრი რადიოდანადგარი, 1.000 ტონა ბენზინი და საომარი მასალის 12 საწყობი.

საფრანგეთის ჯარები განდევნილ იქნენ 4 სამხედრო პოსტიდან კაო-ბანგისა და ლანგ-სონის მახლობლად, რის შედეგადაც განთავისუფლდა 600 კვადრატული კილომეტრი ტერიტორია.

კაო-ბანგისა და ლანგ-სონის მოსახლეობა აქტიურ მონაწილეობას იღებდა შეტევის მომზადებაში, აწვდიდა საომარ მასალას და ამარაგებდა არმიას სურსათით, აწყობდა დივერსიებს მტრის მიერ ოკუპირებულ რაიონებში, გარდა ამისა, მოსახლეობამ არმიის საჭიროებისათვის შესწირა 2 მილიონამდე პიასტრი.

ინგლისი ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ბაზად იქცევა

ბერლინი, 18 აგვისტო. (საკდესი). როგორც გაზეთი „ბერლინერ ცაიტუნგი" იუწყება, ინგლისელ და ამერიკელ სამხედრო წარმომადგენელთა მოლაპარაკებას, რაც ვაშინგტონში მოხდა ივლისის დამდეგს, შედეგად მოჰყვა საიდუმლო შეთანხმების ხელმოწერა, რომელიც ითვალისწინებს იმ სასროლო ასპარეზების, ყაზარმებისა და აეროდრომების გაფართოებასა და მოდერნიზაციას, რომლებიც ინგლისმა ამერიკის შეიარაღებულ ძალებს გადასცა. ამ შეთანხმებას წინ უძღოდა გადაწყვეტილება ინგლისში მყოფი ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალების გაძლიერების შესახებ.

როგორც ვაშინგტონში აღნიშნავენ, ინგლისმა ვალდებულება იკისრა ოქსფორდშირში შექმნას რამდენიმე აეროდრომი ამერიკის მძიმე ბომბდამშენებისათვის, მოახდინოს სასროლო ასპარეზების, ყაზარმების, აეროდრომებისა და სხვა სამხედრო ნაგებობათა სრული მოდერნიზაცია ნორფოლკში, სუფოლკსა და გლოსტერშირში და ამერიკელთა სარდლობის მოთხოვნით დაიწყოს ყოველგვარი სხვა სამხედრო მშენებლობა. ინგლისის ლეიბორისტულმა მთავრობამ იკისრა ამ მშენებლობის დაფინანსება.

გაზეთი „ბერლინერ ცაიტუნგი", იმოწმებს რა ადნის სააგენტოს მიერ ლონდონიდან გადმოცემულ ცნობას, წერს, რომ ამ შეთანხმების ხელმოწერამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია ლეიბორისტული პარტიის ზოგიერთ წევრებსა და სამხედრო წრეებში, ვინაიდან იგი საბოლოოდ აქცევს ინგლისს ამერიკის სამხედრო-საჰაერო ფლოტის ბაზად. ისინი იმ დასკვნას აკეთებენ, რომ ინგლისმა სავსებით დაკარგა დამოუკიდებლობა სამხედრო საკითხებში და ამერიკის გეგმების უნებისყოფო შემსრულებელი გახდა.

კ ო რ ე ი ს ა მ ბ ე ბ ი

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 18 აგვისტო. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ 18 აგვისტოს დილით გამოაქვეყნა შემდეგი ცნობა:

სახალხო არმიის ნაწილები ყველა ფრონტზე განაგრძობენ გააფთრებულ ბრძოლებს ამერიკისა და ლისინმანელთა მარიონეტული ჯარების წინააღმდეგ.

სახალხო არმიის ნაწილები, რომლებმაც ჩაშალეს ამერიკის ჯარების ცდა — წინააღმდეგობა გაეწიათ ავიაციის დახმარებით, განაგრძობენ შეტევას.

სახალხო არმიის ჯარებმა, რომლებიც 14 აგვისტოს ტაპუდონის (ტაფუდო) მიმართულებით უტევდნენ, გაათავისუფლეს ქალაქი ტაპუდონი — მოწინააღმდეგის თავდაცვის მნიშვნელოვანი კვანძი და კომუნიკაციების დიდი ცენტრი.

ამ მიმართულებით წარმოებულ ბრძოლებში სახალხო არმიის ჯარებმა უდიდესი ზარალი მიაყენეს ამერიკის ახლად შედგენილ 24-ე დივიზიას და ამერიკის პირველ საკავალერიო (მოტომექანიზებულ) დივიზიას.

სახალხო არმიის ნაწილები, რომლებიც სამხრეთი სანაპიროს გაყოლებით მიიწევენ, კვლავ ურტყამენ ამერიკის 25-ე დივიზიას და საზღვაო ქვეითი ჯარების რაზმებს.

ფხენიანი, 18 აგვისტო. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ 18 აგვისტოს საღამოს გამოაქვეყნა შემდეგი ცნობა:

სახალხო არმიის ნაწილები, რომლებიც ყველა ფრონტზე იგერიებდნენ ამერიკისა და ლისინმანელთა მარიონეტული ჯარების გააფთრებულ კონტრიერიშებს, განაგრძობდნენ შეტევას.

სახალხო არმიის ჯარებმა, რომლებიც სამხრეთი სანაპიროს რაიონში უტევენ, უდიდესი ზარალი მიაყენეს ამერიკის 25-ე დივიზიის მთავარ ძალებს, რომლებსაც ეხმარებოდნენ სატანკო ნაწილები და საზღვაო ქვეითი ჯარის რაზმი.

2-დან 12 აგვისტომდე ამ რაიონში მოკლული და დაჭრილია მოწინააღმდეგის 5 ათასზე მეტი და ტყვედ წამოყვანილია 2 ათასზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი. წამოღებულია შემდეგი დავლა: 29 ტანკი, 15 155-მილიმეტრიანი ქვემეხი, 24 105-მილიმეტრიანი ქვემეხი, 7 76-მილიმეტრიანი ქვემეხი, 40 60-მილიმეტრიანი ნაღმსატყორცნი, 32 რაკეტული ქვემეხი, 7 თვითმავალი ზარბაზანი, 30 საზენიტო ტყვიამფრქვევი, 43 მძიმე ტყვიამფრქვევი, 10 მსუბუქი ტყვიამფრქვევი, 400 ავტომატი, 2 ათასი შაშხანა, 400-ზე მეტი ავტომანქანა და დიდძალი საომარი მასალა.

სახალხო არმიის ნაწილებმა, რომლებიც აღმოსავლეთ სანაპიროზე უტევენ, მოიგერიეს მოწინააღმდეგის რამდენიმე კონტრიერიში და შეტევას განაგრძობენ.

სხვა ფრონტებზე გააფთრებული ბრძოლები გრძელდება.

ამერიკის ცნობები კორეაში საომარი მოქმედების შესახებ

ნიუ-იორკი, 18 აგვისტო. (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ტოკიოდან იუწყება, რომ ჩრდილოეთკორეელთა ჯარებმა ტეგუს (ტაიკიუ) ჩრდილოეთით 12 მილზე დაიკავეს კიმხუა. ცნობაში აღნიშნულია, რომ შეტევიდან, რომელიც 17 აგვისტოს დაიწყო ევანისა (იკანი) და გუნიის რაიონებიდან, ჩრდილოეთკორეელთა ჯარებმა წინ წაიწიეს დაახლოებით სამი მილით. ფრონტიდან უფრო ადრე მიღებულ ცნობებში ნათქვამია, რომ ტეგუს არტილერიას უშენენ.

ნიუ-იორკი, 18 აგვისტო. (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი კორეიდან იუწყება, რომ გაცემულია ბრძანება ტეგუდან (ტაიკიუ) მოსახლეობის ევაკუაციის შესახებ.

ნიუ-იორკი, 18 აგვისტო. (საკდესი). გაზეთ „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნის" კორესპონდენტი ჯოზეფ ოლსოპი, რომელიც კორეაში იმყოფება, მკვეთრად აკრიტიკებს ამერიკის სამხედრო ლიდერებს კორეაში საომარი მოქმედების წარმოებისათვის და კერძოდ ჩინჯუზე (სინსიუ) შეტევის ჩაშლისათვის.

ოლსოპი ჩინჯუზე შეტევას უწოდებს „ამერიკელთა მძიმე და დამტანჯველ ცდას, რომელმაც ვერავითარ სამხედრო მიზანს ვერ მიაღწია". „ჩვენი ადამიანები,—წერს ოლსოპი,—წინ მიიწევდნენ დიდი ზარალით. ძლივს მიაღწიეს მიზანს ჩინჯუს სიმაღლეებზე, რომ ისინი უკან გაიწვიეს, და გაბოროტებულნი დაბრუნდნენ იმავე პოზიციებზე, საიდანაც მოქმედება დაიწყეს... ჩინჯუზე შეტევამ არათუ ვერ განამტკიცა პუსანის (ფუზანი) თავდაცვა, არამედ დიდი ზიანიც მიაყენა პოტენციურ ძვირფას რეზერვებს, რომელთა დიდ საჭიროებას განიცდიდნენ სხვა რაიონები, და გამოიწვია ფხოხანის (სოკოდო) აეროდრომის დაკარგვა".

ინგლისის ცნობები კორეის ამბების შესახებ

ლონდონი, 18 აგვისტო. (საკდესი). ინგლისის გაზეთები აღნიშნავენ, რომ ამერიკელთა ავიაციის მიერ ტეგუს (ტაიკიუ) რაიონში ჩრდილოეთკორეელთა ჯარების ფართოდ რეკლამირებული მასირებული დაბომბვიდან რამდენიმე საათის შემდეგ ჩრდილოეთკორეელთა ჯარები შეტევაზე გადავიდნენ და გაარღვიეს ამერიკელთა თავდაცვა ტეგუს მისადგომებზე.

„დეილი უორკერის" კორესპონდენტი, რომელიც სამხრეთკორეელთა ფრონტზე იმყოფება, წერს: „მრისხანე შეტევა ტეგუზე ადასტურებს შიშს იმის თაობაზე, თუ რა შედეგი ჰქონდა 16 აგვისტოს მასობრივ დაბომბვას. ის გარემოება, რომ დილით გაძლიერებული საჰაერო დაბომბვის შემდეგ ჩრდილოეთკორეელებმა შეძლეს გაერღვიათ ფრონტი იმ ადგილის ცოტა ჩრდილოეთით, სადაც დაბომბვა მოხდა, და საღამოს ტეგუდან 10 მილის მანძილზე აღმოჩნდნენ, მოწმობს, რომ გამბედაობით აღსავსე ჯარებს შეუძლიათ მასირებულ დაბომბვას გაუძლონ".

გაზეთ „დეილი ექსპრესის" კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ „თავდასხმის ნამდვილი შედეგები ცნობილი გახდა 17 აგვისტოს, როცა ორი დივიზია, რომლებიც, როგორც ჩანს, იმ უბანზე იყვნენ, სადაც დაბომბვა მოხდა, ჩრდილოეთით აღმოჩნდა და შეტევა დაიწყო".

ლონდონი, 18 აგვისტო. (საკდესი). რეიტერის სააგენტოს იმ კორესპონდენტის ცნობით, რომელიც მაკარტურის შტაბთან იმყოფება, დღეს სამხრეთ კორეის „მთავრობამ" დატოვა ქალაქი ტეგუ (ტაიკიუ), რომელსაც არტილერიას უშენენ. ჩრდილოეთკორეელთა ჯარების ნაწილები გუნიიდან ტეგუსაკენ მიიწევენ.

საქართველოს ზოოვეტერინარულ-სავეტერინარო ინსტიტუტში პირველ კურსზე ჩარიცხულთა სია

სავეტერინარო ფაკულტეტზე

ლ. მ. სოსელია, ი. ი. ძაბაშვილი, მ. მ. ალიევი, ა. ს. მოსელიანი, მ. ს. ერქომაიშვილი, ც. გ. შავდია, გ. ვ. ჩაჩხიანი, მ. მ. შავგულიძე, ზ. ი. სალაყაია, კ. ს. სილაგაძე, თ. შ. მესხი, რ. გ. იმნაძე, ო. კ. აბაშიძე, ტ. ა. ქურდიანი, ვ. ე. მაღლაკელიძე, გ. ა. ჩხარტიშვილი, ა. გ. ნადირაძე, გ. ა. არაქელოვი, მ. ს. ბოჭორიშვილი, ლ. ი. ბუკია, ლ. გ. ვარდოსანიძე, ნ. ბ. ყიფიანი, ე. გ. კაკინოვა, ნ. გ. დანდუროვი, რ. ა. ტაკაშვილი, რ. მ. პირველი, ნ. ს. მათეშვილი, ა. გ. ბარბაქაძე, ი. ფ. კვიციანი, ე. ვ. ძულიაშვილი, უ. პ. ნადირაძე, გ. ა. მეხრიშვილი, დ. ი. მაჭავარიანი, მ. ნ. გოგოლაძე, პ. ს. ფარჯიანიძე, დ. ა. კაკაურიძე, ო. გ. ბუქურაული, ნ. ლ. ქიმერიძე, [illegible]

[illegible]

დასავლეთ გერმანიის დაქირავებული არმიის შექმნის საკითხის შესახებ

ბერლინი, 18 აგვისტო. (საკდესი). ადნის სააგენტოს ცნობით, ყოფილი გერმანელი სამხედრო ტყვეების სიტყვებიდან ჩანს, რომ ინგლისის სათანადო ინსტანციებს რწმუნება მიეცათ ფაშისტური რეჟიმის დამარცხებისთანავე გაეთავისუფლებინათ ტყვეობიდან მოკლე ხნის ვადით უწინარეს ყოვლისა სს-ის ჯარების, საპარაშუტო-სადესანტო და სატანკო ჯარების მოსამსახურენი, აგრეთვე სამხედრო-საჰაერო ძალების განსაზღვრული მოსამსახურენი და დოკუმენტებში აღენიშნათ: „დროებითი განთავისუფლება ტყვეობიდან". განთავისუფლებულ ჯარისკაცებსა და ოფიცრებს ვალდებულება უნდა ეკისრნათ, რომ არ დატოვებდნენ ოკუპაციის ინგლისურ ზონას. თუ რა პირობები იყო დაკავშირებული „ტყვეობიდან მათს დროებით განთავისუფლებასთან", ამაზე მათ მაშინ არაფერი უთხრეს. ახლა დასავლეთ გერმანიის დაქირავებული არმიის შექმნამ, აღნიშნავენ ბონის პოლიტიკურ წრეებში, გამოამჟღავნა ცნება „დროებითი განთავისუფლება". დასავლეთის სახელმწიფოთა გეგმებით „დროებით განთავისუფლებული" გერმანელი სამხედრო ტყვეები დასავლეთ გერმანიის დაქირავებულ არმიაში უნდა ჩარიცხონ. ამით დასავლეთის სახელმწიფოები მით უფრო დაინტერესებულნი არიან, რომ აქ საქმე ეხება სათანადო გვარეობათა ჯარების სპეციალისტებს.

„დროებით განთავისუფლებული" სამხედრო ტყვეები რეგისტრირებული არიან ისე, რომ დაქირავებულ არმიაში მათი გაწვევა შესაძლებელია სრულიად დაუბრკოლებივ. ამ სამხედრო ტყვეთა გაწვევის გზით შესაძლებელი იქნება დასავლეთ გერმანიის დაქირავებული არ- [illegible]

მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მუდმივი კომიტეტის ბიუროს განცხადება უშიშროების საბჭოსა და ყველა მთავრობისადმი

პრაღა, 18 აგვისტო. (საკდესი). მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მუდმივი კომიტეტის ბიურომ თავის სხდომაზე მიიღო ტექსტი [illegible]

რეელი ხალხის ნებას, მტკიცედ მოითხოვს უშიშროების საბჭოსაგან გამონახოს ამ კონფლიქტის საბოლოოდ გადაჭრის გზები შემდეგ სა- [illegible]

[illegible]

მოებს, სავსებით შეგნებული აქვს ამ კონფლიქტის უდიდესი საშიშროება. შეშფოთებული ადამიანთა დიდძალი მსხვერპლით და ნგრევით, რასაც მშვიდობიანი მოსახლეობის მასობრივი დაბომბვა იწვევს, ბიურო, ითვალისწინებს რა კო- [illegible]

მილიონი მამაკაცისა და ქალის ნებას. იგი აგრეთვე დარწმუნებულია, რომ გამოხატავს მთელი მსოფლიოს ადამიანთა მისწრაფებას, რომელთაც წყურიათ მშვიდობის შენარჩუნება და განმტკიცება".

მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მუდმივი კომიტეტის ბიუროს მიმართვა მშვიდობის მომხრეთა მეორე მსოფლიო კონგრესის მოწვევის შესახებ

პრაღა, 18 აგვისტო. (საკდესი). მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მუდმივი კომიტეტის ბიურომ, რომელსაც სხდომა ჰქონდა პარიზში, მიიღო მიმართვა მშვიდობის მომხრეთა მეორე მსოფლიო კონგრესის მოწვევის შესახებ. მიმართვაში ნათქვამია: „სტოკჰოლმის მოწოდების გარშემო გაერთიანდა და კვლავ ერთიანდება ასეულ მილიონობით მამაკაცი და ქალი. ამ მილიონობით მამაკაცისა და ქალის სახელით მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის [illegible]

დეილი წარმომადგენლები, რაც შეიძლება მალე შეუდგეს კორეის საკითხის მშვიდობიან მოწესრიგებას და მისცეს ორივე დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს იმის შესაძლებლობა, რომ მათ მოუსმინონ.

მშვიდობის მომხრენი მოითხოვენ აიკრძალოს ყოველი აგრესია, რომელსაც შეუძლია ხელი შეუწყოს ომის წარმოშობას რომელიმე ქვეყანაში.

ჩვენ მოვუწოდებთ მშვიდობის ყველა მომ- [illegible]

[illegible]

საფრთხის შემცველ კერას.

მშვიდობის მომხრენი მტკიცედ ილაშქრებენ მასობრივი დაბომბვის წინააღმდეგ, რომლის მსხვერპლიც სამოქალაქო მოსახლეობა ხდება.

მშვიდობის მომხრენი მოითხოვენ, რომ უშიშროების საბჭო, რომლის შემადგენლობაშიც უნდა შედიოდნენ ხუთი დიდი სახელმწიფოს ნამ- [illegible]

[illegible] ყველა მამაკაცისა და ქალის ერთობლივი მოქმედებით, რომელთაც შეუძლიათ გამარჯვებინონ გონიერებასა და სამართლიანობას". მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მუდმივი კომიტეტის ბიუროს დავალებით მიმართვას ხელს აწერს ფრედერიკ ჟოლიო-კიური.

ერნსტ ტელმანის აუზაკური მოკვლის მეექვსე წლისთავი

[illegible]

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის დეპეშები ი. ა. მალიკისა და ტრიუგვე ლისადმი

პარიზი, 18 აგვისტო. (საკდესი). პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციამ უშიშროების საბჭოს თავმჯდომარეს ი. ა. მალიკს გაუგზავნა დეპეშა, რომელშიც ნათქვამია:

„ბ-ნო თავმჯდომარევ! აგერ უკვე 8 კვირაა, რაც კორეის მიწა-წყალზე ომი მძვინვარებს. [illegible]

[illegible]

ბის ორგანიზაციის წესდება შეიცავს, უშიშროების საბჭომ უნდა დაგმოს ეს ფაქტები.

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციას მშვიდობის ყველა გულწრფელ მომხრესთან ერთად მიაჩნია, რომ კორეელი ხალხი თავს არ დაესხმია არცერთ სხვა ხალხს, არ დაუმუქრია არავითარ [illegible]

[illegible]

ენს სტუდენტთა საერთაშორისო კავშირს პრაღაში. დეპეშის ხელმომწერნი მთელი მსოფლიოს დემოკრატიულ სტუდენტობას სთხოვენ აღიმაღლოს ხმა იმ 13 ბერძენი სტუდენტის გადასარჩენად, რომლებიც ყოველ წუთში შეიძლება დასაჯონ სიკვდილით.

საქართველოს რადიოინფორმაციის კომიტეტის გადაცემათა პროგრამა

[illegible]

დღეს თბილისის პარკებში

[illegible]

[illegible] სამარიის ქ. № 12 მცხოვრებ მოქალაქე ზინობი სოლომონის-ძე პალეისთან განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის ბერიას რაიონის I უბნის სახალხო სასამართლო.

[illegible] დედამთილი ტასო, მული ელენე იუწყებიან მელი ილიას ახულ ბერიაშვილის გარდაცვალებას. პანაშვიდი 20, 21-VIII, 8 ს. გამოსვენება 22-VIII, 5 ს. კარგარეთელის, 2.

[illegible] ალანია, ვ. გრიგოლაშვილი, ი. ახმეტელი, ბ. მჭედლიშვილი, ნ. სირაძე, გ. იუზბაშევი თანაგრძნობას უცხადებენ ნ. კიზიაძეს მისი მამის სევერიანე კიზიაძის გარდაცვალების გამო.

პასუხისმგებელი რედაქტორი ბ. ნაცვალაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, ხამდივნოსი — 3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდისა და პარტიული ცხოვრების—3-81-84, სასოფლო-სამეურნეოსი—3-57-61, სამრეწველო-სატრანსპორტოსი და საბჭოთა მშენებლობისა—3-80-83, კულტურისა და ყოფაცხოვრების, ინფორმაციისა და ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელის — 3-80-84, მშრომელთა წერილების — 3-73-24, მორიგისა და გამომშვების—3-81-65, გამომცემლობისა—3-51-81, სტამბის დირექტორის—3-77-70

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 05401